ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2022 წელი, 23 აპრილი, №4 (6549)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 70 თეთრი

24 აპრილი – ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



აღდგომის რწმენამ გაგაძლიეროთ, მშვიდობა და ბედნიერება მოუტანოს თქვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს! ამინ!

ქრისტიანული სამყაროს უბრწყინვალეს დღესასწაულ – ქრისტეს აღდგომაზე გვესაუბრა ყვარლის იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბენიამენ ჩიხორლიშვილი.

– ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა არის უდიდესი სიხარული ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, რადგან...



– იგი არის ჩვენი უკვდავების დამტკიცება და მკვდართა მომავალი აღდგინების პირველსახე, ახალი სიცოცხლის დასაბამი და კაცობრიობის ორ ტირანზე – ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება. ეს გახლავთ ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი.

ქრისტეს აღდგომის შემდეგ ადამიანი უფრო ახლოს მივიდა ღმერთთან, ვიდრე ადამი იყო სამოთხეში ცოდვით დაცემამდე; ცათა სასუფეველი, რომელიც საყოველთაო აღდგომის შემდეგ ელოდება ადამიანს, გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე პირველქმნილი სამოთხე.

იესო ქრისტემ აღდგომის შემდეგ ახალი, უხრწნელი, სულიერი სხეული შეიმოსა. ამ თვალსაზრისით, იგი ერთადერთი განახლებული, სრულყოფილი ადამიანია. თვით ცათა სასუფეველში მყოფი წმინდანებიც კი არ არიან სრულყოფილი ადამიანები, რადგან მათი სულები ახალი სხეულის მოლოდინშია. ამ ღვთაებრივი ძალით, ღვთაებრივი ენერგიით გაჟღენთილ ქრისტესმიერ სხეულს შეიძენს ყოველი მართალი ადამიანი ქრისტეს მეორედ მოსვლისა და საყოველთაო აღდგომის შემდეგ, როცა შეიქმნება ახალი მიწა და ახალი ცა.

ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით ყველა ადამიანში იძლია სიკვდილი, რადგან უფალმა განკაცებისას სრული ადამიანური ბუნება შეიმოსა. მისი თვითაღდგომა იძლევა ყველაზე სრულყოფილ დადასტურებას, რომ ის არის ჭეშმარიტი ღმერთი, მეფობს სიცოცხლესა და სიკვდილზე და ღვთაებრივი მაცხოვარი, რომელსაც აქვს ძალა აღადგინოს ცოდვებით დახოცილი ყველა ადამიანი.

აღდგომა ქრისტიანულ დღესასწაულთა გულისგულია. მის ირგვლივ განლაგებულია ყველა დანარჩენი დღესასწაული, ვით მზის დისკოს გარშემო – სხივთა ოქროს შარავანდი. ეს არის რწმენის უმაღლესი ტრიუმფი, რადგან მასში წმინდა სათნოებამ გაიმარჯვა უდიდეს ცთუნებაზე; იმედის უმაღლესი ტრიუმფია, რადგან ის ყველაზე დიდებული დაპირებების ყველაზე საიმედო გარანტიაა. მკვდრეთით აღმდგარი უფალი, რომელმაც დაამარცხა სიკვდილი და განაქარვა, ჩვენც გვიხსნის, ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს, სიკვდილისა და მარადიული

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

სემინარი და კონცერტი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში

11 აპრილს ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში პროფესორმა, ეთნომუსიკოლოგმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, საქართველოს სახელწიფო პრემიის ლაურეატმა, ა (ა)იპ „ლომისის“ დირექტორმა გია ბაღაშვილმა გამართა სემინარ-კონცერტი სახელწოდებით – „საქართველო-ტრადიცია და თანამედროვეობა“,რომელიც მისი საავტორო პროგრამაა, პერიოდულად ტარდება სხვადსხვა რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტებში და მიზნად ისახავს ქართული ეთნოკულტურული ტრადიციების განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმოჩენას თანამედროვე გამოწვევების ჭრილში.

როგორც გია ბაღაშვილი აღნიშნავს, ქართული ზეპირსიტყვიერება, უნიკალური მრავალხმიანობა, საუკეთესო ნიმუშია იმის, თუ როგორ არის შესაძლებელი მრავალსაუკუნოვან, ურთულეს ისტორიულ კონტექსტში, თვითმყოფადობის შენარჩუნების გზით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულების კულტურული მემკვიდრეობის შექმნა.გლობალიზაციის ეპოქაში, თანამედროვე გამოცდილებასა

და ცოდნაზე დაყრდნობით, ტრადიციულ ფასეულობებზე აღზრდილი ახალგაზრდა, გაცილებით კონკურენტუნარიანია წარმატების მიღწევის გზაზე. ამას ადასტურებს სხვადასხვა სფეროს სახელოვანი ქართველი მოღვაწეების მაგალითები.

კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტში მოქმედი ფოლკლორული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები. პროექტი ითვალისწინებს, როგორც შემეცნებითსაგანმანათლებლო, ისე საშემსრულებლო მხარეებს.

ღონისძიების მხარდამჭერი და ორგანიზატორი იყო, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია.

სემინარს ესწრებოდნენ, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, მერის პირველი მოადგილე ზურაბ ნემსაძე და პოეტი, კომპოზიტორი, ლეილა ლეგაშვილი.

ია გიგიაშვილი

ევროპის ჩემპიონობა მიულოცეს...

13 აპრილს, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ზურაბ ნემსაძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ოთარ ბუჯიაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ევროპის ჩემპიონ ზურაბ იაკობიშვილს შეხვდნენ და გამარჯვება მიულოცეს. ევროპის ჩემპიონი მუნიციპალიტეტისგან ფულად ჯილდოს მიიღებს.

ბუდაპეშტში გამართულ 2022 ნლის ევროპის ჩემპიონატზე, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ზურაბ იაკობიშვილმა ფინალში სომეხი ანდრიასინი დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

ვულოცავთ მას გამარჯვებას და კვლავაც მრავალ წარმატებას ვუსურვებთ!

დასუფთავების აქცია ყვარელში



ყვარლის მუნიციპალიტეტში „დავიცვათ საქართველოს სისუფთავის“ ფარგლებში დასუფთავების აქცია გაიმართა.

აღნიშნული აქციის ფარგლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, გივი ზაუტაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ ზურაბ ნემსაძემ, საჯარო სექტორისა და ა (ა)იპ-ების თანამშრომლებმა ყვარლის ტბისა და ილიას გორის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს.

დასუფთავების კამპანია, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები“-ს ორგანიზებით „ლურჯი ნაკადულის“ ფარგლებში განხორციელდა.

„არა ომს!“... „ხელები შორს უკრაინისგან!“

ჩვენი ასაკის თაობამ მეორე მსოფლიო ომის სიმწარე ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ იწვნია. ზოგს კარგად, ზოგს კი ბუნდოვნად დაამახსოვრდა იმ დღეების ქრონიკა. იყო გაჭირვება, შიმშილი. მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა იმ ომს. შემდეგ კი აფხაზეთი, 2008 წელს დავკარგეთ სამაჩაბლო, ცხინვალი, სულ რაღაც კილომეტრებში ისევ რუსის ჯარი დგას და კვლავ ეპოტინება ჩვენს ტერიტორიებს. ახლა კი თავის მეზობელ უკრაინასაც მიადგა რუსის ჯარი, რომელმაც ზოგიერთი ქალაქი „აღგავა პირისაგან მიწისა“. დანგრეულია უკრაინის ულამაზესი ქალაქები, თვით დედაქალაქი. არავინ უწყის როდის დამთავრდება ეს „უაზრო“ ომი და კიდევ რამდენი ახალგაზრდის, დედების, მამების და ბავშვების სიცოცხლეს შეიწირავს. ყველა ცივილიზებულ ქვეყანას და ჩვენც, ქართველებსაც გვჯერა მამაცი უკრაინელების, გვჯერა იმისი, რომ კუდამოძუებული დაიხევს რუსეთი უკან. თითქმის მთელმა მსოფლიომ თანადგომა გამოუცხადა მამაც უკრაინელებს, მთელი ქვეყანა ეხმარება მათ შეძლებისდაგვარად, – საბრძოლო იარაღებით თუ ეკონომიურად. მათთვის დღეს ისევე საჭიროა ჰუმანიტარული დახმარება, როგორც წყალი და ჰაერი. დახმარების თვალსაზრისით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდანაც იგზავნება ტონობით ჰუმანიტარული ტვირთი უკრაინელებისთვის. ამ პროცესში ჩართულნი არიან ჩვენი რაიონის სკოლებიც, დაწესებულებებიც, ცალკეული პიროვნებებიც.

ამჯერად ყვარლის I საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს, დირექტორს ქალბატონ ბელა ოსეფაშვილს ვესაუბრეთ.

– ქალბატონო ბელა, დღეს ყველა თვალს ადევნებს იმ მოვლენებს, რაც ხდება უკრაინაში აგრესორების მიერ. როგორია ყვარლის I საჯარო სკოლის დირექტორის თვალით დანახული მიმდინარე პროცესები?

– უკვე თვეზე მეტია, რაც უკრაინა გმირულად იბრძვის ოკუპანტის წინააღმდეგ. საამაყო და სამაგალითოა თითოეული უკრაინელის თაგვანწირვა და შეუპოვრობა სამშობლოს დასაცავად. სამწუხაროდ, საქართველომ რომ უფრო ადრე განიცადა მსგავსი ტრაგედია და ბრძოლა უსამართლო რუსულ რეჟიმთან, ჩვენთვის უცხო არ არის. ისევე როგორც ნებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, ვგმობ იმ საშინელ მოვლენებს, რაც რუსეთის ამბიციური მიზნების გამო ხდება უკრაინაში და რასაც მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის უდანაშაულო ბავშვები ეწირება.

დარწმუნებული ვარ, უკრაინა მთელი მსოფლიოს გვერდში დგომით შეძლებს ოკუპანტთან ღირსეულად გამარჯვებას და XXI საუკუნეში ომის თემა სამუდამოდ დაიხურება.

– მსოფლიოს თითქმის 41 ქვეყანა ამ გაჭირვების დროს უკრაინის მხარესაა და დიდი დახმარებები მოდის დასავლეთის მხრიდან. როგორც ვიცით, თქვენმა სკოლამაც გაუწოდა დახმარების ხელი.

– მთელი მსოფლიო გვერდით უდგას უკრაინას, როგორც შეუძლია. მათ შორის საქართველო, რომელიც აქტიურად ეხმარება მოძმე უკრაინელებს მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით. ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით მუნიციპალიტეტის ყველა სკოლამ თავისი წვლილი შეიტანა ომით დაზარალებულ უკრაინელთა დახმარების საქმეში. ჩვენი სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივის ძალისხმევით შეძენილ იქნა ორი ტომარა შაქარი, ასევე სხვადასხვა ასაკის მცირეწლოვანებისთვის კვებისა და ჰიგიენური საშუალებები და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მეშვეობით უკრაინაში გაიგზავნა.

– უამრავი ბავშვი დარჩა არა მარტო უსახლკაროდ, არამედ სწავლის გაგრძელების გარეშე, თქვენ ხომ არ ელოდებით მიიღოთ უკრაინიდან ლტოლვილი ბავშვები?

– კი, რათქმა უნდა, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის №1 საჯარო სკოლა მზადაა დაეხმაროს უკრაინიდან დევნილ მოსწავლეებს, ჩარიცხოს ნებისმიერი მსურველი თავისი ასაკის შესაბამის კლასში, უზრუნველყოს ისინი სახელმძღვანელოებით და მისცეს მათ შესაფერისი სასკოლო განათლება. ამისთვის უკვე იზრუნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. მინისტრის ბრძანებით, ცვლილება შევიდა“ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით, რათა არცერთ სკოლაში არ შეექმნათ უკრაინელ მოსწავლეებს პრობლემა ჩარიცხვაზე. ასევე მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილება შევიდა უკრაინელი მოსწავლეების საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. კერძოდ, კი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურა არ შეეხება უკრაინიდან საომარი მოქმედებების გამო წამოსულ მოსწავლეებს და მათი ჩარიცხვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამარტივებული წესით განხორციელდება იმავე კლასებში, რომელშიც ისინი სწავლობდნენ 2022 წლის 24 თებერვლამდე. ამისთვის კი საკმარისია სკოლაში ნებისმიერი დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დასტურდება პირის უკრაინის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის ფაქტი.

– დაგვაინტერესა სკოლის მოსწავლეების თვალთახედვამ და მათ ერთი კითხვით მივმართეთ – რას უსურვებდით მოძმე უკრაინას, თქვენს თანატოლ ბავშვებს, რა დაგანახათ ამ ომმა?

– ნანუკა მოლაშვილი – X კლასი – ვიტყოდი, რომ ყველას დაგვანახა ომის საშინელება. რუსეთის მცდელობა, გავლენა მოიპოვოს ყოფილ სსრკ-ს ქვეყნებზე და წაართვას ხალხს თავისუფლება, აშკარა ხდება უკრაინაზე განხორციელებული სასტიკი თავდასხმებით. თითოეული ომგამოვლილი ადამიანის მოგონებებში არის საშინელი, სევდიანი მონაკვეთი, რომელიც მის პიროვნებას ცხოვრების ბოლომდე გაყვება. ეს ყველაფერი კი ახლანდელი უკრაინის მოსახლეობას, განსაკუთრებით მომავალ თაობას, საშინელ იარაღად გაყვება, რომლის დავიწყებაც ფაქტობრივად შეუძლებელია.

თითოეულ ადამიანს, რომელმაც ამ ომში დაკარგა ძვირფასი ადამიანი, რომელმაც საკუთარ თავზე განიცადა რუსეთის აგრესია, ვუსურვებ რაც შეიძლება მალე მიეცეს თავის სამშობლოში მშვიდობიანად ცხოვრების საშუალება.

– ნინი ოსეფაშვილი – XI კლასი – რუსეთის აგრესიამ უამრავ ადამიანს წაართვა მშვიდი მომავალი, საყვარელი ადამიანები. ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკრაინელი ხალხი ყველასთვის სამაგალითო გახდა, რადგან ისინი არ ემორჩილებიან აგრესორს და შეუპოვრად იბრძვიან მტრის წინააღმდეგ. მტკივა, როცა ვხედავ, როგორ იტანჯება უკრაინელი ხალხი, უცოდველი ბავშვები.

უკრაინელ ხალხს მთელი გულით ვუსურვებ ბედნიერებას და გამარჯვებას. იმედია, იმ ტრავმების მიუხედავად, რაც ამ საძულველმა ომმა მიაყენა უამრავ ადამიანს, ისინი მაინც შეძლებენ ლაღად და სტაბილურად ცხოვრებას. მათ ეს ომი მორალურად უკვე მოიგეს. უკრაინელი ხალხი უდრეკია. დიდება უკრაინას!

დიანა ფეტვიაშვილი – XI კლასი – მე გული ძალიან მტკივა იმ ყველაფერზე, რასაც სოციალური ქსელით და ტელევიზიით ყოველდღიურად ვუყურებ. რუსეთი დამნაშავეა მთელი მსოფლიოს წინაშე. ის ყველაზე სასტიკი სახელმწიფოა.

უკრაინას ვუსურვებ გამძლეობას და სიმტკიცეს. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი მყარად დგომაა. უკრაინელ ბავშვებს კი ასე ვეტყოდი – გაგიმართლათ, რადგან სწორედ თქვენმა ქვეყანამ, თქვენმა მშობლებმა და თქვენ შეძელით დაგემარცხებინათ რუსეთი. მათ კი, ვინც თქვენ სახლი, ოჯახი და მშვიდი ცხოვრება წაგართვათ, ყველაფერი მიეზღვებათ. დიდება უკრაინას!

ეთერი ჩახვაშვილი – X კლასი – რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია. მან უამრავი დანაშაული ჩაიდინა ქართველი და უკრაინელი ხალხის წინაშე. თავს დაესხა სუვერენულ სახელმწიფოებს, კლავს მშვიდობიან მოსახლეობას, ბავშვებს, ბომბავს საავადმყოფოებს. რუსეთი ომის წესებსაც კი არღვევს.

უკრაინელ ხალხს და ჩვენს თანატოლებს ვუსურვებ გამძლეობას, გამარჯვებას და თავიანთ სამშობლოში მშვიდობიან ცხოვრებას. დიდება უკრაინას!

– ნატალია ცუკილაშვილი – X კლასი – რუსეთი არა მხოლოდ უკრაინის, არამედ საყოველთაო მშვიდობის დამრღვევია. იგი ცდილობს მთელ მსოფლიოს მოარგოს თავისი დამპყრობლური პოლიტიკა. ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა კი ყველაზე არაჰუმანური საქციელია.

ჩვენს უკრაინელ თანატოლებს ვუსურვებ გადარჩენას, გამარჯვებას და ბედნიერ ცხოვრებას თავიანთ სამშობლოში.

– დიანა სანადირაძე – X კლასი – რუსი აგრესორების ქმედება უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ეთნიკური კონფლიქტით. იგი გაცდა ამ ცნებას და გადაიზარდა იმ მასშტაბებში, რასაც მიზანმიმართული გენოციდი ეწოდება. ამის გამო რუსეთმა მკაცრად უნდა აგოს პასუხი.

უკრაინელი ბავშვები ომის თაობაა, მათ გამოიარეს ისეთი საშინელება, რომლის დავიწყებასაც ვერასდროს შეძლებენ, მაგრამ მათ ვუსურვებ გამძლეობას და უკეთესი მომავლის იმედს.

– ანა-მარია კოკორაშვილი – X კლასი – ყველას კარგად მოგეხსენებათ, რაც დღეს ხდება უკრაინაში. ოკუპანტი რუსეთის მიერ განხორციელებულ სისასტიკეს ეწირება უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე. გული მიკვდება, როცა ვხედავ, ჩემი ტოლი გოგო-ბიჭები როგორ ცდილობენ თავის გადარჩენას სარდაფში. ჩვენ, ქართველები, სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ ხალხს ამ უმძიმეს რეალობაში.

უკრაინელებს და ჩვენს თანატოლებს ვუსურვებ გადარჩენას და ბედნიერ, ცივილურ ქვეყანაში ცხოვრებას.

როგორც ვხედავთ, რუსეთის აგრესიამ შეძრა როგორც მთელი მსოფლიო, მათ შორის ის ბავშვებიც, რომლებსაც სიტყვა „ომი“ კინოფილმებში თუ მოუსმენიათ და უნახავთ. ამიტომ ყველა ერთად ვაცხადებთ – „არა ომს!“ – „ხელები შორს უკრაინისგან!“

საუბარი ჩაიწერა
დალი ტატულიშვილმა

ენტომოფაგების რიცხოვნობის გაზრდის გზები ბუნებაში

სასოფლო-სამეურნეო კულტურებს დიდ ზიანს აყენებენ მათზე გავრცელებული მავნე ორგანიზმები. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების ჩაუტარებლობის შემთხვევაში მოსავლის 35-40% იკარგება.

მავნე მწერების რიცხოვნობის და მავნეობის შემცირების ერთ-ერთი ეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა საშუალებაა ენტომოფაგების (სასარგებლო მწერების) რაოდენობის გაზრდა.

ნაშრომში მოყვანილია ენტომოფაგების როლის გაძლიერების გზები. ერთ-ერთი მათგანია ნათესების და ნარგავების სიახლოვეს ნექტარმატარებელი მცენარეების (წიწიბურა, კამა, მდოგვი, რაფსი, ოხრახუში, მზესუმზირა, ესპარცეტი და სხვა) შეთესვა. მითითებულია ტყის სიახლოვის გავლენაზე ენტომოფაგების რიცხოვნობაზე.

ცნობილია, რომ ტყე ქმნის ხელსაყრელი პირობებს ცოცხალი არსებების, მათ შორის ენტომოფაგების, ცხოველმყოფელობის გაზრდისათვის.

ქიმიური პრეპარატების შესხურება მნიშვნელოვნად ამცირებს ენტომოფაგების რაოდენობას. იმ შემთხვევაში, თუ პესტიციდების გამოყენება აუცილებელია, ეს უნდა მოხდეს გონივრულ ვადებში, კერძოდ მავნე მწერები უნდა იყვნენ მგრძნობიარე ფაზებში (მატლი, ზრდასრული ფაზა), ხოლო ენტომოფაგები – გამძლე ფაზებში (კვერცხი, ჭუპრი).

სასოფლო-სამეურნეო კულტურებს დიდ ზიანს აყენებს მათზე გავრცელებული მავნე ორგანიზმები. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩაუტარებლობის შემთხვევაში მოსავლის 35-40% იკარგება.

ენტომოფაგები გარკვეულ როლს ასრულებენ მავნებლების რიცხოვნობის რეგულირებაში.

დედამიწის ზურგზე ბინადრობს რამდენიმე ათასი სახეობის მავნებლების ბუნებრივი მტრები. ესენი არიან–მტაცებლები, პარაზიტები. ბევრი მათგანი პარაზიტობს მატლებზე, კვერცხებზე, ზრდასრულ ფაზებზე. დიდი სარგებლობა მოაქვთ ბრაკონიდებს, ხალციდებს, ტაქინებს და სხვა.

ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში არსებობს თავისებური აგრობიოცენოზი. ცოცხალი ორგანიზმების მრავალი სახეობა იმყოფება ძალიან რთულ ურთიერთდამოკიდებულებაში. აქ ყოველთვის არსებობს მთელი ჯგუფები მავნე მწერებისა და მათთან ერთად სასარგებლო სახეობები – ენტომოფაგები, რომლებიც ანადგურებენ მცენარეებისათვის საშიშ მავნებლებს.

საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ ზონაში გავრცელებულია სასარგებლო მწერების სახეობები: მტაცებელი ბზუალები, ჭიამაიები, ტაქინები, ოქროთვალურები, ბრაკონიდები, ხალციდები და სხვა.

სპეციალისტების ამოცანა მდგომარეობს ენტომო-ფაგების რიცხოვნობის გაზრდასა და მათი როლის გაძლიერებაში მცენარეთა მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ენტომოფაგები და გავზარდოთ მათი ეფექტურობა, საჭიროა გავახანგრძლივოთ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა და ნაყოფიერება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისათვის უნდა შეიქმნას ენტომოფაგებით და მათი მოქმედებისათვის ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები.

ენტომოფაგების მიზიდვის, გამრავლებისა და ეფექტურობის გაზრდისათვის მკვლევარები ურჩევენ ნექტარმატარებელი მცენარეების შეთესვას. დადგენილია, რომ ზოგიერთ აყვავებულ მცენარეზე ენტომოფაგების კვებისას მკვეთრად იზრდება მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა (10-15-ჯერ), კვერცხდების პერიოდი და ნაყოფიერება – 3-4-ჯერ.

ჩვენს მიერ ცდები და დაკვირვებები ტარდებოდა გორის რაიონში 2014-2015 წლებში. დავადგინეთ, რომ საუკეთესო ნექტარმატარებლები არიან – წიწიბურა, კამა, მდოგვი, რაფსი, ოხრახუში, მზესუმზირა, ესპარტეტი და სხვა.

იმ ენტომოფაგებისათვის, რომლებიც ნელა გადაადგილდებიან და მოკლე მანძილზე ფრენენ (ტრიქოგრამა, აფიტისი), ნექტარმატარებელ მცენარეებს შეთესავენ ხეხილის ბაღის რიგთაშორისებში ან დასაცავი მცენარეების გარშემო, ხოლო იმ ენტომოფაგებისათვის, რომლებიც დიდ მანძილზე გადაადგილდებიან (ტაქინები, ბრაკონიდები, ოქროთვალურები), ნექტარმატარებელი მცენარეები შეიძლება დავაკავშიროთ ასობით კილომეტრით.

ტყის ზოლებში და ნაპირებზე ვრცელდებიან პეპლები და ზოგიერთი ნელა გამრავლებადი მწერები, რომლებიც გაზაფხულიდან იწყებენ განვითარებას კვერცხისმჭამელები, პარაზიტული ბუზები და სხვა სასარგებლო მწერები; ისინი აქ გროვდებიან და შემდეგ გადააფრინდებიან ნათესებზე.

მავნებლების პარაზიტები და მტაცებელი მწერები უკეთესად იზამთრებენ საგვიანო კულტურებზე – მზესუმზირაზე, სიმინდზე ჭარხალზე, კარტოფილზე, ამიტომ, ამ კულტურებს ზაფხულის მეორე ნახევარში პესტიციდებით არ ამუშავებენ.

ნიადაგი წარმოადგენს საუკეთესო ადგილს მტაცებლების და პარაზიტების დიდი ჯგუფების არსებობისათვის. მათი რიცხოვნობა 1ჰა ფართობზე მერყეობს 20-დან 90 ათასამდე.

ენტომოფაგების რიცხოვნობის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის შესანარჩუნებლად აუცილებელია მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში სწორად შევათავსოთ კულტურების საადრეო და საგვიანო ჯიშები.

მარცვლოვანი კულტურები, განსაკუთრებით საგვიანო, ინარჩუნებენ მტაცებელი და პარაზიტული მწერებისი მაღალ რიცხოვნობას ივლისამდე, ხოლო მზესუმზირა – სექტემბრამდე. ჩვენი დაკვირვებით, საგვიანო კულტურები შემოდგომაზეც ახდენენ სასარგებლო მწერების მრავალი სახეობის კონცენტრირებას – ჭიამაიების, მტაცებელი ბზუალების, ოქროთვალურების.

ენტომოფაგების რიცხოვნობა საადრეო და საგვიანო ჯიშებზე (საშუალო რაოდენობა 1მ2-ზე)

საგვიანო ჯიშზე (მზესუმზირა) სექტემბერშიც კი მაღალია ენტომოფაგების რაოდენობა, მაშინ, როდესაც საადრეო ჯიშზე (ხორბალი) სექტემბერში საერთოდ არ აღინიშნება სასარგებლო მწერები, ხოლო ივლის-აგვისტოში შეადგენს მხოლოდ 0,8-1,0 ეგზემპლარს 1მ2-ზე.

ჩვენი დაკვირვებით, მტაცებელი ბზუალები, როდესაც მათი რაოდენობა 1მ2-ზე შეადგენს 2-ს არ აძლევენ პურის ხოჭოების მატლებს და მავთულა ჭიებს, გამრავლდნენ 1-2 ერთეულზე მეტად.

ჩვენს მიერ ჩატარდა სპეციალური კვლევა ენტომოფაგების რიცხოვნობაზე ნექტარმატარებელი მცენარეების შეთესვის გავლენის შესასწავლად. ამ მიზნით, ხეხილის ბაღში, ნაპირებზე, შევთესეთ წიწიბურა.

გამოირკვა, რომ ენტომოფაგები (ჭიამაიები, მტაცებელი ბზუალები) შეთესილ ნაკვეთებზე მეტი რაოდენობით გვხვდებოდა, ვიდრე შეუთესავ ნაკვეთებზე, ამასთან, ისინი გვხვდებოდნენ გვიან შემოდგომამდე, მაშინ, როდესაც შეუთესავ ნაკვეთებზე ივლისის ბოლოს არც ერთი ენტომოფაგი არ აღმოჩნდა.

ენტომოფაგების რიცხოვნობა განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ახლოს არის კულტურული მცენარეების ნარგავები და ნათესები ტყესთან.

ცნობილია, რომ მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეები ქმნიან ხელსაყრელ პირობებს მრავალი სასარგებლო მწერის განვითარებისათვის. ტყის ზოლები ამცირებს ქარის სიჩქარეს, ზრდის ჰაერის ფარდობით და აბსოლუტურ ტენიანობას, აგროვებს ზამთრის ნალექებს, ამცირებს ზაფხულის მაღალ ტემპერატურას. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მრავალი ცოცხალი არსების, მათ შორის ენტომოფაგების გამრავლებას და განვითარებას.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ტყიდან მნიშვნელოვანი მანძილით დაშორებულ ნათესებში ენტომოფაგების რიცხოვნობა ნაკლები იყო 50-60%-ით.

ენტომოფაგების შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიურ წამლობათა ვადების სწორად შერჩევას. პესტიციდების შესხურება უნდა ჩატარდეს იმ პერიოდში, როდესაც მავნე მწერები მიმღებთან ფაზებში (მატლი, ზრდასრული ფაზა) არიან, ხოლო ენტომოფაგები-გამძლე ფაზებში (კვერცხი, ჭუპრი).

ამრიგად, ენტომოფაგების შენარჩუნებისა და მათი ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ნექტარმატარებელი მცენარეების შეთესვას ნათესებში და ნარგავებში, ტყის ზოლების სიახლოვეს და წამლობათა გონივრულ ვადებში ჩატარებას.

თინათინ გოგიშვილი
სოფლის მეურნეობის
აკადემიური დოქტორი

აღდგომის რწმენამ გაგაძლიეროთ, მშვიდობა და გედნიერება მოუტანოს თქვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს! ამინ!

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ტანჯვისაგან და მოგვანიჭებს მარადიულ ხსნასა და ნეტარებას.

– ლაზარეს შაბათი.

– ეს გახლავთ ბზობის წინა შაბათი. ამ დღეს ეკლესია დღესასწაულობს ოთხი დღის მკვდარი და საფლავში დადებული, მართალი ლაზარეს მაცხოვრის მიერ მკვდრეთით აღდგინებას.

„ლაზარე“ ებრაული სახელია და ქართულად „ღვთის წყალობას“ ნიშნავს. ლაზარე ბეთანიაში დაიბადა, იერუსალიმის მახლობლად. იგი მართასა და მარიამის ძმა იყო. უფალ იესო ქრისტეს ძლიერ უყვარდა მართალი ლაზარე და მას თავის მეგობარს უწოდებდა. ხშირად სტუმრობდა ხოლმე მის ოჯახში.

ერთხელ ლაზარე ავად გახდა და დებმა აუწყეს იესოს: „უფალო, ვინც შენ გიყვარს, ავადაა“. მაცხოვარმა თქვა: „ეს ავადმყოფობა არაა სასიკვდილო, არამედ ღვთის სადიდებლადაარ“. თუმცა მან იცოდა, რომ ლაზარე ამ ქვეყნად აღარ იყო. ორი დღის შემდეგ ქრისტემ ამცნო მოწაფეებს: „ლაზარემ დაიძინა... მოკვდა, მე კი წავალ და გავაღვიძებო“, და გაემართა ბეთანიისაკენ. გზად მართა და მარიამი შემოეგებნენ: „უფალო, აქ რომ ყოფილიყავ, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა. მაგრამ ვიცი, რასაც ღმერთს შესთხოვ, მოგმადლებს კიდეცო“, – უთხრა მართამ. ქრისტემ მიუგო: „მე ვარ აღდგომაი და ცხოვრებაი, ვინც მე მიწამებს, მკვდარიც რომ იყოს, აღდგებაო“. უფალმა ჭირისუფლები საფლავთან მიიყვანა, სადაც ლაზარეს გვამი ესვენა და ყარდა, რადგან გარდაცვალებიდან ოთხი დღე გასულიყო. „ლაზარე, გამოდი გარეთ“, – მიმართა იესომ და ლაზარე გაცოცხლდა. ამ სასწაულით ქრისტემ გვანიშნა: ვინც უფლის რჩეულია, სიკვდილი ვერაფერს დააკლებს, გვამი გახრწნილიც რომ ჰქონდეს, გაცოცხლდება და აღდგება საკუთარი სხეულით. ეს მოხდება „მეოთხე დღეს“, ანუ ქვეყნიერების დასასრულს. იმ დღეს, საყოველთაო განკითხვისა და განახლების ჟამს, მართალი ლაზარეს მსგავსად, უკვდავებით შეიმოსებიან უფლის მეგობარნი და რჩეულნი და სასუფეველსა და ცხონებას ეზიარებიან. და, რადგანაც ლაზარე გაიგივებულია ქართულ ენასთან, 1985 წლიდან, საქართველოს ეკლესიამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის – ილია II–ის ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, საეკლესიო კალენდარში შეიტანა ქართული ენის დღესასწაული და მისი აღნიშვნის დღედ განაჩინა ლაზარეს შაბათი. ამით ოფიციალურად იქნა აღიარებული ღვთიკურთხეული ქართველი ერის მისტიური ჭვრეტისა და სურვილის იდუმალი ხმა – არასოდეს უღალატოს მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებას და უფლის მიერ გაცოცხლებული ლაზარეს მსგავსად, ყველაზე ცხოველ მოწმედ დაუდგეს ქრისტეს ღვთაებრიობას. „და სახარებასა შინა ამა ენასა ლაზარე ჰქვიან. ესე ენაი, მდაბალი და დაწუნებული – მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან, ამხილოს ამით ენითა“, – ვკითხულობთ იოანე ზოსიმეს თხზულებაში – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ღმერთმა დალოცოს ჩვენი დედა ენა, ჩვენი ენა ქართული და ყოველი საიდუმლოი, რომელიც ამას ენასა შინა დამარხულ არს, დაე განცხადებულიყოს დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ამინ!

– ბზობა.

– აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა – ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება. იგი იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრამდე მიწიერი ცხოვრების ბოლო დღეების მნიშვნელოვანი მოვლენაა. მაცხოვრის შესვლა იერუსალიმს, ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყეს უფალს.

სახარების მიხედვით, როდესაც მაცხოვარი მიუახლოვდა ბეთბაგესა და ბეთანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მოწაფე უახლოეს სოფელში გაგზავნა, რათა მიყვანათ მისთვის შესასვლელშივე დაბმული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგზეც ჯერ არავინ მჯდარიყო. მოციქულებმა ბრძანება შეასრულეს. ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „და პოვა იესო ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს: ნუ გეშინენ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე ზის იგი კიცვსა ვირისასა“.

იერუსალიმისკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელ ხარ მაღალთა შინა!“ თვით მცირეწლოვანი ყრმანიც კი აქებდნენ უფალს, უერთდებოდნენ რა თავიანთ ხმას ერის ღაღადისს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს იერუსალიმმა სცნო და ირწმუნა ქრისტე. მაგრამ მაცხოვარს არ უხაროდა, რადგან წინასწარ იცოდა, რომ ამ მიგებებას, აღტაცებას და სიხარულს კეთილი საფუძველი არ ჰქონდა, რომ ხალხი მასში მხოლოდ ქვეყნიურ მეუფესა და მბრძანებელს ხედავდა, რომელიც მათ რომაელთა ბატონობისგან იხსნიდა და არა მესიას. იცოდა ისიც, რომ იგივე ხალხი მის ჯვარცმას ესეთივე აღტაცებით შეხვდებოდა და ნაცვლად ღაღადებისა – „ოსანნა მაღალთა შინა“ დაიწყებდა ყვირილს: „ჯვარს აცვ ეგე, ჯვარს აცვ ეგე!“

მაგრამ უფალი მაინც დიდებით შევიდა იერუსალიმში. ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. ვინც იესოს არ იცნობდნენ, კითხულობდნენ: „ვინ არს იგი?“ ვინც იცნობდა პასუხობდნენ: „ეს იესოა, წინასწარმეტყველი ნაზარეთიდან“.

რას ნიშნავდა უფლის ასეთი ქცევა? რისთვის მიიღო მან განცხადებულად ესოდენი დიდება და პატივი, რომელიც მანამდე ყოველთვის გაურბოდა ამქვეყნიურ დიდებას?

მაცხოვარმა წინასწარ იცოდა რა, რომ უკვე მოიწია მისმა ჟამმა და კაცთა შორის დიდხანს უნდა დარჩენილიყო, მისცა ერთის მხრივ თავის მეგობართა და მორწმუნეთ უკანასკნელი შემთხვევა, რათა გამოეხატათ თავიანთი სიყვარული და მსახურება უფლისადმი და, მეორეს მხრივ, მტერთა და მოძულეთ მისცა უკანასკნელი სწავლა, რათა შეენანათ და მოქცეულიყვნენ, უკეთუ შესაძლებელი იქნებოდა მათთვის მოქცევა და სინანული.

ყოველ ბზობას, ჩვენც გვაძლევს უფალი შემთხვევას, გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული და პატივისცემა მისადმი. ნაკურთხი ბზის რტოების ხელში დაჭერით მივბაძოთ მათ, ვინც იერუსალიმში მიმავალ მაცხოვარს გზად უფენდნენ ხის რტოებს, სამოსელს და ყვავილებს. თუმცა ახლა უფალი ხილულად აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ ისევ მოელის ჩვენგან ლაზარისეულ მეგობრობასა და მარიამისეულ მხურვალე სიყვარულს. ნაცვლად ნელსაცხებლისა, ჩვენი თვალის საიდუმლო ცრემლით დავბანოთ ფერხნი უხრწნელსა ხატსა მისსა, გზად ჩვენი სულის სამოსელი დავუფინოთ და გულსა შინა ჩვენსა საიდუმლოდ შევღაღადოთ: „...კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანნა მაღალთა შინა!“

– ვნების შვიდეული.

– აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შესახვედრად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბოლო კვირას – ვნების შვიდეულს. ვნების შვიდეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. ეს კვირა იესო ქრისტეს ვნების, ჯვარცმისა და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ქრისტიანებმა მთელი ეს პერიოდი მარხვასა და ლოცვაში უნდა გაატარონ. ეს გლოვის დღეებია და ღვთისმსახურებასაც ტაძარში სამგლოვიარო, შავი სამოსი აცვიათ.

მოსაგონებელი მოვლენების უდიდესი მნიშვნელობის გამო ვნების კვირის ყოველ დღეს დიდს ვუწოდებთ.

ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი იესო ქრისტეს მონაფეებსა და ხალხთან უკანასკნელი საუბრების გახსენებას ეძღვნება. ამ დღეებში მსხვერლპშეწირვა არ ხდება და აღევლინება მხოლოდ პირველშეწირულ ძღვენთა ლიტურგია, რომელთა დროსაც სახარება სრულად იკითხება.

ვნების შვიდეულის ორშაბათიდან, პირველშეწირულის ლიტურგიის შემდეგ, წყდება მუხლთა დრეკა და დიდი მეტანიები. აღარ იკითხება ასევე ეფრემ ასურის ლოცვა „უფალო და მეუფეო“ და ფსალმუნთა კანონები. ფსალმუნების კითხვა განახლდება თომას კვირის მწუხრიდან.

– დიდი ორშაბათი

– ეს იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემის დღეა. ოთხშაბათის ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა სიმონ კეთროვნის სახლში. როდესაც ის იესომ განწმინდა, სიმონმა მას თავის სახლში სერი მოუწყო. ერთმა ცოდვილმა ქალმა მარიამმა, იხილა რა, რომ კეთროვანი განიწმინდა, რწმენა მიეცა იმისა, რომ ცოდვათა მიტევებას ისიც მიიღებდა მაცხოვრისაგან და თავისი სულიერი კეთრისაგან განიწმინდებოდა. მარიამი ძვირფას ნელსაცხებელს ყიდულობს, მიდის რწმენით სიმონ კეთროვანის სახლში და ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად ასხამს თავზე და ამით მას დიდ პატივს მიაგებს. უფალი ამბობს, განსაკუთრებით კი იუდას გასაგონად, რომ ამ მოქმედებით ქალმა მიგვანიშნა, რომ ჩემი სხეული დასაფვლელად მიეცემაო. ეს ყველაფერი კი უფალმა იმ მიზნით თქვა, რომ იუდა გულით შეძრულიყო და გონს მოსულიყო, ვისგანაც იესო განწირული იყო გასაცემად. მაგრამ იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ბოროტი აზრი იყო ჩასახული, რომ თავისი მასწავლებელი და უფალი გაეცა და ხელსაყრელ ჟამს ეძებდა, რათა იგი მტრებისათვის განმარტოებული ჩაებარებინა.

დიდი ორშაბათის სახარებაში უფალი განადიდებს დედაკაცის უანგარო საქციელს და ამბობს, რომ ხსოვნა ამ დედაკაცის შესახებ ყოველთვის იქნება იქამდე, სანამ სახარების ქადაგება გაგრძელდებაო; ხოლო იუდას ვერცხლისმოყვარეობას და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

ცოდვილ დედაკაცში, რომელმაც იესოს მირონი დაასხა, იგულისხმება წარმართთა ეკლესია, ხოლო იუდა, რომელიც ბრაზობდა და ხელს უშლიდა დედაკაცის გულწრფელ მოქმედებას, იუდეველთა სახეა, დღემდე ქრისტეს ეკლესიაზე რომ დრტვინავენ.

– დიდი ხუთშაბათი

– ეს გახლავთ კურთხეული დღე საიდუმლო სერობისა. დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე ჩვენ იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთა ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდასმიერ მის გაცემას ვიხსენებთ.

ხუთშაბათ დილას იესომ იხმო თავისი მოწაფენი – პეტრე და იოანე და დაავალა მათ, რომ მოეძებნათ ბინა პასექის ჩასატარებლად, თან თავადვე მიანიშნა იმ სახლზე. საღამოს იესო, მოწაფეებთან ერთად მივიდა იმ სახლში და განემზადა ძველი აღთქმისეული პასექის ჩასატარებლად.

სერობის წინ, იესომ საქმით უჩვენა, თუ როგორ უყვარდა თავისი მოწაფეები: ზედა სამოსი გაიხადა, არდაგი (შესამშრალებელი ნაჭერი) ნელზე შემოირტყა და სათითაოდ დაბანა მათ ფეხები და არდაგით შეუმშრალათ, რითაც მისცა მათ თავმდაბლობისა და მოყვასისადმი სამსახურისა და სიყვარულის მაგალითი.

სადღესასწაულო სუფრის გარშემო შემომსხდართ კი მოძღვარმა აუწყათ, რომ ერთი მათგანი გასცემდა მას. ყველამ ცალ-ცალკე იკითხა: „ნუთუ მე, უფალო“... და როცა ამავე შეკითხვით მიუახლოვდა იუდა, უფალმა ასე ხმადაბლა მიუგო: „–შენ!“ რომ მისი პასუხი არავის გაუგონია, იოანეს კი თავის საყვარელ მოწაფეს ასე უთხრა: „ის გამცემს, ვისაც თეფშში ამოწებულ ლუკმას მივცემო“... ეს ლუკმა იესომ იუდა ისკარიოტელს მიაწოდა და უთხრა: „რასაც აკეთებ, მალე გააკეთეო“, და იუდა გავიდა. მოწაფეებს კი ეგონათ, რომ იუდას კიდევ რაიმე უნდა შემომატებინა სადღესასწაულო სუფრისათვის, რადგანაც გვადრუცი (ფულის ქისა) მას ჰქონდა მიბარებული.

ამის შემდეგ იესომ აიღო პური, აკურთხა, განტეხა და დაურიგა თავის მოწაფეებს: „– მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის წამებული“... შემდეგ აკურთხა სასმისი ღვინით სავსე და მიაწოდა მათ: „–სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, თქვენთვის და მრავალთათვის დათხეულიო და აღასრულეთ ეს მუდამ ჩემს მოსახსენებლადო“. ასე დაგვიწესა იესომ წმინდა ზიარების საიდუმლო (ევქარისტია) და მას შემდეგ, ქრისტიანები, ერთი ბარძიმიდან ვიხმევთ პურსა და ღვინოს, რომელიც მღვდელმსახურის მიერ სულიწმიდის მოწმობით, რეალურად გადაიქცევა იესო ქრისტეს წმინდა სისხლად და ხორცად. ზიარების შემდეგ ქრისტე ჩვენში შემოდის, მასთან ზიარებით ერთმანეთთანაც ვერთიანდებით, ვხდებით ქრისტეს სხეულის – ეკლესიის ჭეშმარიტი წევრები, რომლის თავი, თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტეა. იგი გვეუბნება: „რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნოი და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა“ (ინ,6, 53-54). ე.ი. ნამდვილი ცხოვრება ქრისტესთან, რეალური კავშირი მასთან შესაძლებელია მხოლოდ წმინდა ზიარების მეშვეობით. მაგრამ ისიც აუცილებელად უნდა გვახსოვდეს, რასაც პავლე მოციქული გვაფრთხილებს: „რომელი არა ღირსად ჭამდეს და სუმიდეს დასაშჯელად თავისა თავისისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ხორცნი უფლისანი“ (1კორ. II,29).

ყველა ქრისტიანი უნდა ეცადოს, რომ დიდ ხუთშაბათს უზიარებელი არ დარჩეს. ეს დღე იმითაცაა გამორჩეული, რომ იგი ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება.

მიუხედავად ვნების შვიდეულის სიმკაცრისა, „დიდი ხუთშაბათი“ ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სრულდება ბასილი დიდის სადღესასწაულო წირვა. საკათედრო ტაძრებში ლიტურგიის შემდეგ, ტარდება ეპისკოპოსთა მიერ მღვდელთა ფეხთბანვის რიტუალი. ამით ჩვენ ვიხსენებთ, თუ როგორ დაიმდაბლა თავი თავისი მაცხოვარმა და დაბანა ფეხები თავის 12 მოწაფეს.

დიდი ხუთშაბათის საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც „თორმეტი სახარება“, ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრეფილი 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა, დაწყებული მოწაფეებთან მისი უკანასკნელი საუბრისა საიდუმლო სერობაზე, დამთავრებული მაცხოვრის სხეულის იოსებ არიმათიელის ბაღში დაფვლით და მისი საფლავისათვის მცველების მიჩენით.

– დიდი შაბათი

– დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება ცისკარზე მღვდელმსახურები „წმიდაო ღმერთოს“ გალობით გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ და, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიაბრძანებენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლად იმყოფება მამა ღმერთთან და რომ თავისი ვნებითა და სიკვდილით, კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი, ამ დროს იგალობება „მშვენიერმა იესომ“...

იმ დროს, როცა გარდამოხსნას ისევ ტაძრის შუაგულში დაასვენებენ, ითქმება ეკვეტენია და იკითხება საწინასწარმეტყველო ეზეკილ წინასწარმეტყველის წიგნიდან გარდაცვლილთა მკვდრეთით აღდგომის შესახებ; სამოციქულო, რომელიც გვასწავლის, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი აღდგომაა ყოველი ჩვენგანის სულისათვის; სახარება, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ ჩააყენეს მცველები პილატეს თანხმობით მაცხოვრის საფლავთან, შესასვლელი ლოდით ჩარაზეს და ზედ ბეჭედი დაასვეს.

დიდი შაბათის ღვთისმსახურება მართლმადიდებლური ლიტურგიული ტრადიციის მსხვერპლია. ეს არაა იესო ქრისტეს სიკვდილისა და დასაფლავების ისტორიული მოვლენების დრამატული გათამაშება ან სახარებისეული რიტუალური დადგმა, ეს ღვთისმსახურება ღრმა სულიერი წვდომაა მაცხოვრის იმ ქმედების მარადიულ არსში, რომლითაც მან კაცობრიობა იხსნა.

ბასილი დიდის საღვთო ლიტურგია, ანუ წირვა, ამ დღეს ჩვეულებრივზე გვიან იწყება და მწუხრს უერთდება. მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურობს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნასთან.

მცირე შესავლისა და „ნათელი მხიარულის“ გალობის შემდეგ იკითხება 15 საწინასწარმეტყველო საკითხავი ძველი აღთქმიდან. ყოველ მათგანში ნაწინასწარმეტყველებია ღვთის მიერ სამყაროს ხსნა, რაც აღთქმული მესიის მოსვლით აღსრულდა.

სამყაროს შექმნისა (შესაქმეთა წიგნიდან) და ეგვიპტიდან ისრაელის გამოსვლის შესახებ (გამოსვლათა წიგნიდან) საკითხებთან ერთად, იკითხება ნაწყვეტები ესაია, ეზეკიელ, იერემია, დანიელ და სოფონია წინასწარმეტყველთა წიგნებიდან მესიის ვნების, აღდგომისა და ამ გზით კაცობრიობის ხსნის შესახებ.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ამ დროს სამღვდელოების სამგლოვიარო შესამოსელი სადღესასწაულოთი იცვლება, ასევე იცვლება მთელ ტაძარში შავი ფერები ნათლით, ეს იმის ნიშნად ხდება, რომ მენელსაცხებლე დედებმა ადრიან დილით, ჯერ კიდევ სიბნელეში, მაცხოვრის საფლავზე იხილეს ნათლით მოსილი ანგელოზი და მისგან ისმინეს ხარება იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

სადღესასწაულოდ შემოსილი დიაკვანი, როგორც ანგელოზი, გამოდის ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნის წინ, და სახარების კითხვით ხალხს მაცხოვრის აღდგომას ამცნობს. ამის შემდეგ წირვა ჩვეულებრივ გრძელდება, ოღონდ „ღირს არსის“ ნაცვლად იგალობება „ნუ მტირ მე, დედაო“... წირვის დამთავრების შემდეგ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების“ კითხვა მოსდევს, რაც შუაღამიანის ლოცვამდე გრძელდება.

– აღდგომა

– ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა იმდენად აღმატებულია ყველა, თუნდაც საუფლო დღესასწაულებზე, რამდენადაც მზე აღემატება ვარსკვლავებს. აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს. ეს შუალედი ხდება ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე და, შესაბამისად, აღდგომა მოძრავი დღესასწაულების კატეგორიას განეკუთვნება. წელს, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას 24 აპრილს ვულოცავთ ერთმანეთს.

სახარების მიხედვით, შაბათ ღამეს, გამთენიისას, ღვთის მიერ მოვლენილმა ანგელოზმა იესო ქრისტეს საფლავთან დიდი ლოდი გარდააგორა და ამ ლოდზე ჩამოჯდა. სანახაობით შეძრწუნებულმა საფლავის მცველებმა გონება დაკარგეს და მკვდრებივით დაცვივდნენ მიწაზე. იესო ქრისტე მკვდრეთით აღდგა და გამოვიდა საფლავიდან.

ამის შემდეგ, ქრისტეს ცარიელ საფლავზე მოსულ მარიამ მაგდალინელსა და სხვა მენელსაცხებლე დედებს, ანგელოზმა ამცნო: „ქრისტეს ეძიებთ ჯვარცმულსა, არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა სთქუა, წარვედით და არქუთ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ აღდგა უფალი“ (მტ.28,6), და ის იყო, დედები წავიდნენ, რომ მოწაფეთათვის ეხარებინათ მაცხოვრის აღდგომა, რომ გზად თვით აღდგომილი მაცხოვარი გამოეცხადათ და უთხრათ: „გიხაროდეს!“, რაც მათი ერთგულების დაფასება და აღიარება იყო ღმრთისაგან.

აღსანიშნავია ისიც, რომ მკვდრეთით აღმდგარი უფალი, სულ პირველად, თავის დედას, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს გამოეცხადა, მაგრამ მახარებელნი არ ახსენებენ ამას, რადგან უპირატესს დედათა შორის, თავმდაბლობის გამო, არ სურდა თავისი უპირატესობის წარმოჩენა.

აღდგომილი მაცხოვარი მთელი 40 დღის განმავლობაში ეცხადებოდა თავის მოწაფეებს, ხან ორ-ორს, ხან ყველას ერთად და ამხნევებდა, არიგებდა და ამზადებდა მათ, რომ „მოემოწაფებინათ ყოველნი წარმართნი“, ანუ ხალხი მოექციათ და ეცხოვნებინათ.

იესომ თავისი წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისაგან. „მე ვარ აღდგომაი და ცხოვრებაი“, – ბრძანებს მაცხოვარი, – რომელსა რწმენეს ჩემი, არა მოკვდეს იგი უკუნისამდე“ (ინ.2,25-26). უფლის ეს სიტყვები გვამშვიდებს ჩვენ მორწმუნეებს, სულიერად ვმხნევდებით და ვძლიერდებით, ვივსებით მკვდრეთით აღდგომის იმედითა და საუკუნო სიცოცხლის სიხარულით.

თუ ლაზარეს აღდგინებით მაცხოვარმა მოგვცა წინასახე თავისი მკვდრეთით აღდგომისა და გვიჩვენა, რომ სწორედ მას აქვს ხელმწიფება ადამიანთა სიცოცხლეზე და, რომ იგია ჩვენი სიცოცხლის მომნიჭებელი, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომით კი, ჩვენ ვუბრუნდებით ჩვენს დასაბამს, ჩვენს სათავეებს – უკვდავებას და მარადიულ ცხოვრებას, ამიტომაც, სიხარულითა და რწმენით ვახარებთ ხოლმე ერთმანეთს, ქრისტეს აღდგინებიდან ამაღლებამდე, – ქრისტე აღდგა!“ ამ ორი სიტყვით უკვე ყველაფერია ნათქვამი: ჩვენ შენდობილნი ვართ, ჩვენ მოგვეტევა და სიკვდილი უკვე აღარ გვაშინებს, რადგან იგი ჩვენთვის მარადიული სიცოცხლის კარიბჭეა მხოლოდ.

აღდგომილი მაცხოვარი ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს და ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმისგან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არა სჯეროდათ. იესომ თავისი წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისაგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება, მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე ჩაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწილთლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფერდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

ფრაგმენტები ქართული ავეჯის ისტორიიდან



ქართული ხალხური ხის მრეწველობის მრავალფეროვან საგანძურში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ხის ქართულ ავეჯს. იგი ყურადღებას იქცევს თავისებური კონსტრუქციით, ფორმათა მრავალგვარობითა და საუცხოო ორნამენტული მოტივებით.

ღვთის განგებით ქართველი მეავეჯის ესთეტიკური კონცეფცია მუდამ სინამდვილიდან ამოდიოდა. ავეჯის ფორმებს იგი ყოფაში, რეალურ სამყაროში ეძებდა. ამიტომ ხალხური ავეჯი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის ყოფასთან. იგი ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრების, მისი მატერიალური დ სულიერი კულტურის გამოვლინებაა.

ქართული ხალხური ავეჯი წარმოადგენს მატერიალური კულტურის იმ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელიც ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე შეუქმნია. იგი იძლევა ტრადიციული ავეჯის დამზადების წესებისა და ფორმების შესწავლის საშუალებას და შეიცავს უმდიდრეს მასალას მისი შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოში ავეჯის ხელოვნების ჩასახვა-განვითარების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხალხური ავეჯის ეთნოგრაფიულ შესწავლას. ამ მხრივ მდიდარ მასალას იძლევა საქართველოს მთიანეთი. საქართველოს სხვადასხვა კუთხის და მათ შორის მთიანეთის ეთნოგრაფიულ შესწავლას თავისი ნაშრომებით უდიდესი ღვაწლი დასდო ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა და მეცნიერმა სერგი მაკალათიამ.

ხალხური ავეჯის ზოგიერთი ნიმუში კერძოდ, სხვადასხვა სახის კიდობანი, კარადა, მერხი, ტახტი – ლოგინი, ტაბლა-სუფრა და სხვა, აგრეთვე მათი დამზადების ტრადიციები ყველაზე უკეთ შემონახულია ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, ხევსა და სვანეთში.

ამავე კუთხეებში აქა-იქ შემორჩენილია ავეჯის ორნამენტირებული ფრაგმენტები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევენ ჩვენ წინაპართა ხით ხუროობის ხელოვნების მაღალ დონეზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ავეჯი, როგორც კონსტრუქციის, ისე შემკულობის მიხედვით, ერთგვარ თავისებურებებს ამჟღავნებს. ჩვენ აქ ზოგიერთ მათგანს შევეხებით.

ხალხური ავეჯის ნიმუშებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სასხდომებსა და საწოლებს, რომელთა სილამაზე კონსტრუქციული ელემენტების ოსტატური შესრულებით იყო მიღწეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ფშავში, დგამის ამ ორ სახეობას ზოგადად „სკამი“ ეწოდება, თუშეთში კი „მეხი“. ამ შემთხვევაში ტერმინები „სკამი“ და „მეხი“ გვიჩვენებს, რომ ამჟამად დიფერენცირებული საწოლი და სასხდომი ავეჯი კონსტრუქციულად ერთი ტიპის ავეჯიდან უნდა მომდინარეობდეს. ისიც ცხადია, რომ სასხდომი ავეჯის ცალკე გამოყოფამ საწოლი ავეჯის სახეცვლილება გამოიწვია. საქართველოს მთიანეთში დამოწმებული მერხები სწორედ სახეშეცვლილი ავეჯის რიგს განეკუთვნება.

საქართველოს ზემოთ ხსენებულ კუთხეებში საძიებლად განკუთვნილი დგამის ნაირსახეობა და მისი აღმნიშვნელი ტერმინების მრავალფეროვნება გვხვდება. დასაწოლ ავეჯს ხევსურეთში „ლოგინი“, „ტახტი“, ხევში – „საწოლი“, თუშეთში „მეხი“ ეწოდება. ძველად საწოლად წნული ავეჯიც გამოიყენებოდა – „ჩაფი“, „ჯინი“, რომელიც დღეს ხალხის მეხსიერებასღა თუ შემოუნახავს.

დამონმებული საწოლებიდან ყურადღებას იქცევს სვანური „კიდაბენ“-ი, რომელიც საწოლი ავეჯის ორიგინალური და ლოკალური სახეობაა. მის შესახებ მეტყველი ფაქტიური მასალა ქვემო სვანეთის მხოლოდ ზოგიერთ სოფელშია შემორჩენილი, ხოლო რამდენიმე სოფელში მხოლოდ ფრაგმენტების სახითღაა შემონახული.

„კიდაბენი“-ი ოთხკუთხა მოყვანილობის მაღალგვერდიან საწოლს წარმოადგენდა, რომელიც ოთხ ფეხს ემყარებოდა. „კიდაბენ“-ს ფიცრის ფსკერი ჰქონდა, ზოგჯერ კი ძირგამოწნულიც ყოფილა.

როგორც ჩანს, სვანური მასალა, „კიდაბენ“-ის სახით, საწოლი ავეჯის კიდევ ერთ სახეობას ავლენს და ცხადჰყოფს, რომ კიდობანი რთული და კომპლექსური ხასიათის დგამი იყო, რომელიც შეიცავდა ნაირგვარ კომპონენტებს, შესაძლებელია საწოლსაც.

საფიქრებელია, რომ დიფერენცირებული სვანური ავეჯის სხვადასხვა სახეობას სახელი „კიდაბენ“ სწორედ ამის გამო შემორჩა. კიდობანის მრავალსახეობა უკვდავ „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება. აქ იგი სხვადასხვა ადგილას ტახტრევანის მნიშვნელობითაც იხსენიება: „მათ კიდობანი მოიღეს, მას შიგან ჩასვეს იგი მზე“. ან კიდევ – „მათ ნავიდაღმა მათ რომე,

გადმოსვეს კოდობანითა,
აჰხადეს, ქალი გარდმოსვეს
უცხოთა რამე ტანითა“.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დღეს, კიდობანი უმთავრესად მაცვლეულისათვის განკუთვნილი ავეჯია, ძველად კი იგი ტალავარისა და იარაღის საცავადაც კი ყოფილა გამოყენებული. ფშავ-ხევსურეთში, რამდენიმე განყოფილებიანი კიდობანის კეთებაც სცოდნიათ. იგი სხვადასხვა სახის ნივთების საცავს წარმოადგენდა. ერთი სახის ავეჯი, რომელშიაც ერთდროულად თავსდება სხვადასხვა ხასიათის ნივთები, კომბინირებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარ ავეჯს უნდა ასახავდეს ხევსურული „კიდობან-კარადა“. ავეჯის ამავე კატეგორიას შეიძლება განეკუთვნოს თუშური „კიდობანი გამოსაღებელაი“-თ. ეს უკანასკნელი განსხვავებული ფუნქციის მქონე ორი სათავსოსგან შედგება, სადაც „გამოსაღებელაი“ (კიდობანის სარქველზე მიმაგრებული საკოვზე ყუთი) წარმოადგენს კიდობანის ერთ-ერთი თვალის ცალკე გამოყოფის საწყის ფორმას.

როგორც ვხედავთ, ქართველთა წინაპრებს კომბინირებული ავეჯის კეთებაც სცოდნიათ და იგი, საცხოვრებელი ფართობის რაციონალურად ათვისების უზრუნველსაყოფად, მოხერხებულადაც გამოუყენებიათ. ქართული ხალხური ავეჯისათვის ორნამენტი, რომელიც დღეს მხოლოდ ნივთის დეკორატიულ გაფორმებას ემსახურება, მეტად დამახასიათებელი მოვლენაა. ავეჯის შესამკობად ქართველ მოხელეებს სხვადასხვა სახეები გამოჰყავდათ. ამ პროცესს „დაჭრელება“ ეწოდება, გამოსახულ ორნამენტს კი „ჭრილი“.

საქართველოს მთიანეთში დაცული ავეჯი უმთავრესად გეომეტრიული ჭრელითაა შემკული „ბორჯღალი“ (მზე), „ხუთა“ (ვარსკვლავი), „ხატი“ და სხვა. ეს ორნამენტები, რომლებიც თავის პარალელს საქართველოს მრავალ კუთხეში (მესხეთი, აჭარა, იმერეთი და სხვა) და მის გარეთაც პოულობს, სოლარულ ნიშნებად არის მიჩნეული და მათი უმრავლესობა წარმართულ სარწმუნოებას უკავშირდება.

ამრიგად, ხალხური ავეჯის შექმნისათვის ძირითადი და აუცილებელი იყო: აზრის ლაკონიურობა, ყოველი დეტალის მიზანშეწონილად გამოყენება, ფუნქციის გათვალისწინება. ქართველი მეავეჯე მუდამ ცდილობდა ეჩვენებინა ქართული სტილი, მისი თავისებური ეროვნული კოლორიტი და უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამოცანას, თავისი ოსტატობის მეოხებით ჩინებულად ართმევენ თავს.

უფალი ღმერთის ნებით, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციითა და ხანგრძლივი პრაქტიკული ცოდნის დაგროვებით ქართველმა ხალხმა გამოიმუშავა განსაკუთრებული წესები და მეთოდები ხის ავეჯის შექმნის დარგში.

ქართული ხალხური ხის ავეჯის უდიდესი მნიშვნელობა, უპირველესად, მის პრაქტიკულ დანიშნულებაშია. განსაკუთრებით დიდია მისი ფორმების გამოყენების შესაძლებლობა არქიტექტურაში – საცხოვრებელი სახლის ინტერიერში.

უძველესი ქართული კულტურის ეს მნიშვნელოვანი მონაპოვარი, ვფიქრობთ, საგანგებო დაცვასა და მოვლა-პატრონობას საჭიროებს.

დიდება შენდა, უფალო იესო ქრისტე! ამინ!

ოთარ დავითაშვილი,
ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია-ცენტრის“ დირექტორის მოადგილე,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი

მარწყვი – სასარგებლო ხილი

მარწყვი – სეზონის ყველაზე პოპულარული ხილი და მოზრდილებისა და პატარების ერთ-ერთი უსაყვარლესი სასუსნავია. ჩვენ აღტაცებაში მოვყავართ მის საოცრად არომატულ გემოს, მაგრამ შეიძლება წარმოდგენაც არ გვაქვს, თუ რაოდენ სასარგებლოა ის ჩვენი ჯანმრთელობისათვის.

მარწყვი, ვარდისებრთა ოჯახის მრავალწლიანი მცენარეა. საქართველოში ველურად ხარობს მისი რამდენიმე სახეობა: ტყის მარწყვი, მწვანე მარწყვი, მუშკის მარწყვი. მარწყვი, გარდა იმისა, რომ ლამაზი და გემრიელია, ძალიან სასარგებლოც არის.

მარწყვის კვებითი ღირებულება ასეთია: 100 გრამი შეიცავს 30 კალორიას, 0,7გ ცილას, 0,4გ ცხიმს და 6,3 გ ნახშირწყალს. რაც შეეხება ქიმიურ შემადგენლობას, ტყის მარწყვის ნაყოფი შეიცავს ვაშლის, ლიმონის, ქინის მჟავებს, შაქარს, ეთერზეთებს, რკინას,ჩ ვიტამინს, ფოთლებსა და ფესურებში არის მთრიმლავი ნივთიერებები. სამკურნალო მიზნით უმთავრესად იყენებენ ტყის მარწყვის ნაყოფს, მაგრამ სასარგებლოა ფოთლებიც და ფესურებიც. უმი ნაყოფი კარგი დიეტური პროდუქტია, უხდება სისხლნაკლებობას, ავიტამინოზს, კარგია მძიმე დაავადების შემდგომ პერიოდში. გამხმარი ნაყოფის ცხელ ნაყენს დიდი ხანია იყენებენ ხალხურ მედიცინაში როგორც შარდმდენ და ოფლმდენ საშუალებას, აგრეთვე – ციებ-ცხელების, თირკმელებისა და ღვიძლის სხვადასხვა დაავადების დროს. ტყის მარწყვის ფოთლებისა და ფესურების ჩაი კარგი შარდმდენი, მთრიმლავი და ვიტამინურ საშუალებაა. მარწყვი შესანიშნავად ავსებს ორგანიზმის ვიტამინებისა და მინერალების მარაგს. ეს გემრიელი და არომატული კენკრა შეიცავს ვიტამინებს (განსაკუთრებით დიდი რაოდენობით – C ვიტამინს), მიკროელემენტებს, რკინას, მაგნიუმს, კალიუმს, თუთიას, ფოსფორს და ფოლიუმის მჟავას. მარწყვს ძველთაგანვე მრავალ სამკურნალო თვისებას მიაწერენ. მაგალითად, მას უნარი შესწევს, გააუმჯობესოს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობა, გამოიტანოს ორგანიზმიდან ჭარბი სითხე, უხდება მადას, წმენდს შინაგან ორგანოებს, აფერხებს დაბერებას, ეხმარება ორგანიზმს ნაწლავურ ინფექციებთან, გრიპის ვირუსთან ბრძოლაში, აუმჯობესებს მეტაბოლურ პროცესებს. ხალხურ მედიცინაში იყენებენ მარწყვის არა მხოლოდ ნაყოფს, არამედ ფოთლებსაც. მათი მეშვეობით მკურნალობენ ანემიას, ჰიპერტენზიას, ათეროსკლეროზს. მარწყვის ნიღაბი კანს ელასტიკურობას უნარჩუნებს.

გასათვალისწინებელია, რომ მარწყვი ყველასთვის ერთნაირად სასარგებლო არ არის. პირველ რიგში, სიფრთხილე მოეთხოვებათ მგრძნობიარე და ალერგიულ ადამიანებს. მარწყვის თესლი აღიზიანებს კუჭის ლორწოვანს. ამ კენკრას უნდა ერიდონ ის ადამიანებიც, რომლებსაც კუჭის წყლული და გასტრიტი, ანდა სხვა ქრონიკული დაავადება აქვთ. მათ მარწყვით მკურნალობამდე ექიმთან უნდა გაიაროონ კონსულტაცია. დიეტოლოგებმა გამოთვალეს: მარწყვის სასარგებლო თვისებებით მაქსიმალურად რომ ვისარგებლოთ, მისი მწიფობისას 10 კილოგრამის შეჭმა უნდა მოვასწროთ. 100 გრამი კენკრა ანეიტრალებს უარყოფით ემოციებს. საზოგადოდ, მარწყვი იცავს დეპრესიისგან, ამაღლებს განწყობილებას. მარწყვის კიდევ ერთი ღირსებაა ფიტონციდების მაღალი შემცველობა. ამ ნივთიერებებს ბუნებრივ ანტიბიოტიკებს უწოდებენ, ვინაიდან ნებისმიერი ინფექციისა და ანთების დამარცხება შეუძლიათ. ვიტამინები მარწყვის ფოთლებში უფრო მეტია, ვიდრე ნაყოფში. მინერალები – რკინა, თუთია, კობალტი, მაგნიუმი, კალიუმი, კალციუმი და ფოსფორი – ფოთლების ნაყენს სამკურნალო თვისებებს ანიჭებს. ის შესაბამისი ზოგადმომამაგრებელი საშუალებაა გაციების დროს და გამწმენდი ღვიძლისა და თირკმლის დაავადებების შემთხვევაში. ფოთლების დაკრეფა მცენარის ყვავილობის პერიოდში ჯობს. ამ დროს მათში სასარგებლო ნივთიერებები ყველაზე მეტია. ფოთლებს სიბნელეში აშრობენ. ტყის მარწყვს ჭიების გამოძევების უნარიც შესწევს. ეფექტურია სოლიტერით, ასკარიდათი და მახვილათი ინვაზიის დროს. ფოთლების ნაყენი ანელებს გულის რიტმს, აძლიერებს შეკუმშვების ამპლიტუდას, აფართოებს სისხლძარღვებს, დაბლა სწევს სისხლში შაქრის დონეს, ამცირებს ორგანიზმში შარდმჟავასა და მისი მარილების შემცველობას. სასარგებლოა აგრეთვე ბრონქული ასთმის, ტუბერკულოზისა და პოდაგრის დროს. მარწყვი მალფუჭებადი და სათუთი ხილია, ამიტომაც მისი ყიდვისას გაითვალისწინეთ: ნაყოფი უნდა იყოს მშრალი, მკვრივი, პრიალა, ხასხასა წითელი ფერის. სასურველია, გარეცხოთ უშუალოდ მოხმარების წინ, თანაც – სწრაფად გამდინარე წყალში, რადგან სინოტივეს ცუდად იტანს, ნყლით იჟღინთება და სასარგებლო თვისებების ნაწილსაც კარგავს. მარწყვისგან ათასნაირი დესერტის მომზადება შეიძლება: ნაყინისა, ნამცხვრისა, ხილის სალათისა, მურაბისა, ჯემისა, ჟელესი, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კოქტეილებისა. გაყინვას მარწყვი ცუდად იტანს – გალღობისას მისი სტრუქტურა იცვლება. მარწყვი ხშირად გვხვდება ხალხური მედიცინის რეცეპტებში. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

• თუ ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი, ქოლეცისტიტი და კოლიტი გაწუხებთ, ქორფა მარწყვის ნაყენი თქვენთვის უებარი წამალია. 50 გ კენკრას დაასხით 200 მლ წყალი, 2 საათი გააჩერეთ და გადაწურეთ. მიიღეთ 50 მლ დღეში 3-4-ჯერ.

• თავის ტკივილის დროს რამდენიმე ცალი კენკრა მიირთვით – ტკივილი გაგივლით.

• გამხმარ მარწყვს ადუღებული წყალი დაასხით, გააცივეთ და დალიეთ. ფოთლების ნაყენი ანგინის დროს ყელში გამოივლეთ.

• უზმოზე 4-6 სუფრის კოვზი მარწყვის წვენის მიღება კარგია ნაღველკენჭოვანი დაავადების დროს.

• მარწყვის ფოთლების ჩაი კარგი სისხლის გამწმენდი, სისხლის წარმოქმნის ხელშემწყობი და ნერვების დამაწყნარებელი საშუალებაა. მას სამკურნალო ეფექტი აქვს ჰემოროის (ბუასილის), ელენთის, ღვიძლის, ქალური დაავადებების დროს. 2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთოლს დაასხით მეოთხედი ჭიქა ადუღებული წყალი, 15 წუთი გააჩერეთ, გადაწურეთ და დალიეთ.

მარწყვის ახალგამოწურული წვენი შესანიშნავი საშუალებაა ჭორფლისა და პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად. წაისვით სახეზე და 5 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ასეთი ნიღბის გაკეთება რეკომენდებულია კვირაში 2-3-ჯერ ერთი თვის განმავლობაში.

გთავაზობთ მარწყვის ათ უნიკალურ თვისებას, რომელიც დაგეხმარებათ ჯანმრთელობისა და სილამაზის შენარჩუნებაში.

მარწყვს შეუძლია თქვენი კბილები უფრო თეთრი გახადოს

თუ თქვენ აპირებთ სტომატოლოგთან ვიზიტს კბილების გასათეთრებლად, ცოტა ხნით გადადეთ ეს საქმე. იმ თანხით, რაც ექიმთან არასასიამოვნო პროცედურაში უნდა გადაგეხადათ, ბლომად მარწყვი იყიდეთ და მიირთვით. მარწყვი შეიცავს დიდი რაოდენობით ცე ვიტამინს, რომელსაც შეუძლია დაშალოს კბილებზე ნადები ქვები, სწორედ ისინი იწვევენ სიყვითლეს. თუ სისტემატურად მიიღებთ მარწყვს, ნახავთ, რომ თქვენი კბილები გათეთრდება და სულაც არ მოგიწევთ სტომატოლოგიურ სავარძელში საათობით ჯდომა.

მარწყვი ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წარმოშობის რისკს

ჩვენს დროში გულ-სისხლძარღვთა დაავადებები – ნომერ პირველი მკვლელია, ამიტომ მათი იგნორირება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. კვების რაციონში ყოველდღიურად მარწყვის ჩართვა მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ რისკს. ამ კენკრაში შემავალი უჯერი მჟავები საგრძნობლად ამცირებენ სისხლში ქოლესტერინის შემცველობას. გარდა ამისა, ცე ვიტამინი ამაგრებს სისხლძარღვებსა და არტერიებს, ხოლო ამ ვიტამინით მარწყვის ნაყოფი სავსეა.

გაგრძელება მე-5 გვ.-ზე

აღდგომის რწმენამ გაგაძლიეროთ, მშვიდობა და ბედნიერება მოუტანოს თქვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს! ამინ!

დასაწყისი მე-3 გვ.-ზე

სიმბოლოა, წითელი კვერცხი კი – მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისათვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ღარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო მრავალფეროვან სუფრას ამ დღისათვის გამომცხვარი პასქა ამშვენებს, რომელსაც მივირთმევთ იესო ქრისტეს აღდგომის რწმენის ნიშნად. იგი არის გოლგოთის სიმბოლო, იმ მთისა, რომელზეც ჯვარს აცვეს იესო. იგი ტკბილი პურია და გვახსენებს იესოს სიტყვებს: „მე ვარ პური, ზეცით გარდამოსული“...

შორს აღარ არის ალბათ ის დროც, როცა უფლის ხმა მოგვიწოდებს ჩვენ ყველას მარადისობისაკენ და ჩვენც აღვდგებით სულით და ხორცით და ვუგალობებთ უფალს სიხარულის, დიდებისა და მადლობის მარადიულ საგალობელს.

მანამდე კი, იგი თავის საფლავზე გვიგზავნის მადლმოსილ ცეცხლს, როგორც ნიშანს უდიდესი მოწყალებისა, როგორც მაცნეს ნეტარი ცხოვრებისა, როგორც მაუწყებელს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მთავარი – სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა. ეს მოვლენა ყოველწლიურად დიდ შაბათს აღესრულება და ამ სასწაულის მოწმე ასიათასობით მომლოცველი ხდება. და ბოლოს, მე მინდა ეს ბრწყინვალე დღესასწაული სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა, საკუთარი ლექსითაც მოგილოცოთ:

ციხკარს მირბოდნენ ნეტარნი დედანი,
დაბეჭდულ საფლავთან უფლისა ჩუენისა,
და როს იქ მივიდნენ, ვერ ჰპოვეს ცხედარი,
ანგელოზთ ახარეს ადგომა მხსნელისა.
კნინსა მას საფლავსა არ დაშთა ცხოველი,
სიკუდილი განქარდა, აღრასდგა დიდებით!
წარუედით და არქუთ მოწაფეთ ყოველი,
ერთგულთ არ დაგაგდებთ და გაბრწყინდებით.
ღმერთო, შეგვიწყნარე ბოლო ჟამისანიც
და შენს სადიდებლად კუალად აღგვადგინე.
მოგვეცი განცდა აღდგომის წამისანი,
ჟამსა განკითხვისას, შენთან დაგვადგინე.

აი, ამ ღვთაებრივი სიხარულით და იმედით აღვსილი, გახარებთ კვლავაც:

ქრისტე აღსდგა და აღადგინა სამყარო!
ქრისტე აღსდგა და განქარდა სიკვდილი!
ქრისტე აღდგა და განაახლა კაცთა ბუნება!

მაშ, მუდამ ვღაღადებდეთ და ვიტყოდეთ: ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

ყველას გილოცავთ სიყვარულით ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს! ქრისტეს აღდგომა – ეს არის სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე, სიცოცხლის ზეიმი სიკვდილზე და უკეთესი მომავლის რწმენა.

აღდგომის რწმენამ გაგაძლიეროთ, მშვიდობა და ბედნიერება მოუტანოს თქვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს! ამინ!

ესაუბრა
ია გიგიაშვილი

დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

მარწყვი ანელებს დაბერების პროცესს

ჩვენ ვბერდებით იმის გამო, რომ ბერდება ჩვენი უჯრედები. მარწყვი დაგვეხმარება ამ პროცესის შეჩერებაში. ეს კენკრა შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ეფექტურად ანადგურებენ თავისუფალ რადიკალებს – დაბერების პროცესის მთავარ დამნაშავეებს. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეფექტური მოქმედებისათვის საკმარისია ყოველდღიურად ჭამიდან ნახევარი საათის შემდეგ მივირთვათ რამოდენიმე ცალი მარწყვი.

მარწყვი ძალიან ეფექტურია მუწუკების წინააღმდეგ

თუ თქვენ უკვე დაგღალათ ფერიმჭამელებთან და გამონაყართან ბრძოლამ, საკმარისია ნახევარი საათი დაუთმოთ მარწყვის ნიღაბს და სასიამოვნოდ გაოცებული დარჩებით შედეგით. უბრალოდ დაჭყლიტეთ მწიფე ნაყოფი, დაიდეთ სახეზე და გაიჩერეთ 25-30 წუთი. ამ კენკრაში არსებული ანტოქსიდანტები ეფექტურად უმკლავდებიან კანის დაავადებებს.

მარწყვის ნაყოფი მოგაცილებთ ჭორფლს

თქვენ არ მოგწონთ სახეზე არსებული ჭორფლი (ბევრ გოგონას ჭორფლი ძალიან უხდება)? – ფუულს ნუ დახარჯავთ ძვირადღირებულ კრემებში – გაიკეთეთ მარწყვის ნიღაბი. ამ ნიღბის სისტემატური გამოყენება საგრძნობლად გააღიავებს თქვენს ჭორფლს. განსაკუთებით ეფექტურ შედეგს მიიღებთ, თუ მარწყვს გამოიყენებთ კომბინაციაში სხვა პროდუქტებთან – ლიმონის წვენთან, არაჟანთან ან პაპაიას ნაყოფთან ერთად.

ჭამეთ მარწყვი და ეგრძოლეთ ასთმასა და ალერგიას

თუ თქვენ უკვე დაიღალეთ ასთმასთან და ალერგიასთან ბრძოლის მედიკამენტოზური მეთოდებით, დროა განსხვავებული ხერხი მოსინჯოთ. მარწყვის ნაყოფს გააჩნია შესანიშნავი ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება, ამიტომ მას შეუძლია დაგეხმაროთ ალერგიის სხვადასხვა ფორმასთან ბრძოლაში – იქნება ეს სურდო, ჭინჭრის ცხელება თუ ცრემლმდენი თვალები. კვლევებმა აჩვენა, რომ თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ ასთმით დაავადების რისკის შემცირება, თუ რაციონში ყოველდღიურად ჩართავთ მარწყვს.

მარწყვი დაეხმარება თქვენ სხეულს გედნიერების ჰორმონების გამომუშავებაში

მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დეპრესია დამოკიდებულია ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილი უნდა შევურიგდეთ ბედს. მაშინათვე, როგორც კი დეპრესიის დასაწყისს იგრძნობთ – მიირთვით რამოდენიმე ცალი მარწყვი – ეს კენკრა ეწინააღმდეგება დიდი რაოდენობით ჰომოცისტეინის ფორმირებას თქვენს ორგანიზმში, რაც საშუალებას აძლევს თავის ტვინისათვის სისხლის უპრობლემოდ მიწოდებას.

მარწყვი – ეს გემრიელი დესერტია ანტიონკოლოგიური მოქმედებით

მარწყვის ნაყოფში შემავალი ანტიოქსიდანტები დაგეხმარებათ ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკაში. სწორედ ამიტომ, სეზონის განმავლობაში მაინც, ყოველდღიურად ჩართეთ თქვენ რაციონში ეს კენკრა.

მარწყვი შესანიშნავად ზრუნავს თქვენს თვალებზე

მარწვის ნაყოფის სასწაულმოქმედი თვისებები შესაძლებელია გამოყენებული იქნას ესთეტიკური მიზნებისათვის. თუ თქვენ თვალების ქვეშ მუდმივად გიჩნდებათ შავი «ტომრები», იცოდეთ, რომ მარწყვი მათი გაქრობის უებარი საშუალებაა. მისი ანთებისსაწინააღმდეგო ეფექტი და მათეთრებელი უნარი – იდეალური შეხამებაა თვალების ქვეშ არსებული მუქი წრეების სამკურნალოდ. გარდა ამისა, ამ კენკრაში შემავალი ცე ვიტამინი კარგია კატარაქტის პროფილაქტიკისათვის

ბავშვის მოლოდინში სულაც არ ღირს მარწყვის მირთმევაზე უარის თქმა

თუ თქვენ მომავალი დედა ხართ, ფეხმძიმობის პერიოდში გარკვეული რაოდენობით მარწყვის ნაყოფის მიღება ძალიან სასარგებლო იქნება თქვენი და თქვენი ნაყოფის ჯანმრთელობისათვის. ეს სასწაულმოქმედი კენკრა უამრავ ვიტამინს და მიკროელემენტს შეიცავს, რომლებიც სასარგებლოა ბავშვის ზრდა-განვითრებისათვის.

მოამზადა
ია გიგიაშვილმა

მცენარეთა დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის ხალხური მეთოდები

ჩვენი არა ერთი მკითხველი, დაინტერესებული მეურნე, წერილობით თუ პირად საუბრებში გვთხოვენ, მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ მავნებელ მწერებთან, მღრღნელებთან თუ მცენარეთა სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან ხშირად, მათივე თქმით, სხვადასხვა ქიმიური პრეპარატები უკუშედეგს იძლევიან.

რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის თუ წესების დაცვით ვიმოქმედებთ, თუმცა, ახლა ჩვენს მეურნეებს ვთავაზობთ სხვადასხვა ხალხური მეთოდით მავნებლებთან ბრძოლის წესს.

საუკეთესო საშუალებაა მწარე წიწაკის ნაყენი, რომლის გამოყენებით მთლიანად ინკურნება წვრილი ბუგრებისგან ვარდები, სხვადასხვა ჯიშის გეორგინები

და ბოსტნეული. ეს ბუგრები შეუმჩნევლად ჭამენ და ბადეებივით აქცევენ ფოთლებს.

ავიღოთ 10-15 ცალი წიწაკა და წინა დღით დავალბოთ წყალში. მეორე დღეს გადავიღოთ ქვაბში და ავადუღოთ თავდახურულად, სასურველია, ეს გარეთ გავაკეთოთ, რადგან მძაფრმა სუნმა ცემინება და ალერგია არ გამოიწვიოს. წამოდუღებიდან ხუთი წუთის შემდეგ გადმოდგით, გაგრილდეს, გაწურეთ და წილობრივად 1:10 შეურიეთ წყალი.

მშრალ ამინდში, დილით მოასხურეთ ყველაფერს, ყვავილებს, ბოსტნეულს, სადაც კი შეამჩნევთ ბუგრების, პეპლების მავნებლობას. ეს პროცედურა გაიმეორეთ მესამე დღეს. 10-15 დღის შემდეგ ნახავთ, რომ ყვავილებს თუ ბოსტნეულს ახალი ნაყარი აქვს, გამთლიანდა და ფოთლებს სიხასხასე დაეტყო.

მწერების და ბუგრების წინააღმდეგ ასევე კარგი საშუალებაა პომიდვრის ნასხლავი. ყველამ იცის, რომ პომიდორს არც ისე იშვიათად სჭირდება ზედმეტი ნაყარის შეცლა. ის უნდა გავახმოთ და შემდეგ დაქუცცაცებული მოვხარშოთ. 20 წუთის დუღილის შემდეგ გადმოვდგათ. გაგრილდეს და შემდეგ გავწუროთ.

ეს ნახარში ერთი ლიტრის ოდენობით შევურიოთ ხუთ ლიტრ წყალს. მცენარეებს შევასხუროთ დილით, კარგ ამინდში. ის სპობს არა მარტო ბუგრებს, არამედ, სხვადასხვა ფოთოლჭამია და ნაყოფჭამია მატლებს, ე. წ. მუხლუხოებს.

თუ არ დავიზარებთ და ამ მეთოდს მთელი სეზონის მანძილზე გავიმეორებთ, საუცხოო შედეგს მივიღებთ. ამასთანავე, დავზოგავთ ჩვენს ბიუჯეტს. შეგახსენებთ, რომ როცა ჭიანჭველას"გორები" შეგხვდებათ, არავითარ შემთხვევაში არ მოსპოთ! ერთ ასეთ ჭიანჭველების"გორას" შეუძლია სეზონზე მილიონამდე მწერი გაანადგუროს. ასევე ნუ ებრძვით თხუნელას, ის მავნებლების საუკეთესო გამანადგურებელია! მოსპეთ მხოლოდ მახრა!

საუკეთესოა ფარსმანდუკის ნაყენიც. მიწისზედა გამხმარი ნაწილი, ნახევარი კილოგრამი, დავაქუცმაცოთ და დავასხათ მდუღარე წყალი. დავდგათ ერთი საათით, შემდეგ ერთ ლიტრამდე ასეთ ნაყენს 10 ლიტრი წყალი დავამატოთ და დავდგათ ერთი დღეღამის განმავლობაში. მერე გავწუროთ და ზემოთ მითითებული წესის მიხედვით შევასხუროთ მცენარეებს თუ ბოსტნეულს.

კიდევ ერთი ძალზე გავრცელებული დაავადებაა გოგროვანების ნაცარი. ის განსაკუთრებით იჩენს თავს ზაფხულის პერიოდში – კიტრის და გოგრის ფოთლები იფარება ნაცრისფერი ლაქებით, შემდეგ კი გაყვითლების პროცესი ენაცვლება და მცენარე ფაქტიურად კვდება.

ხშირად ასეთი პროცესი წვიმების ან პირიქით გვალვების დროს ვითარდება. ამიტომ, მუდამ ყურადღებით უნდა ვიყოთ და მივხედოთ გოგროვანებს. შემჩნევისთანავე სასწრაფოდ გამოვიყენოთ 0,5 %-იანი კოლოიდური გოგირდის ხსნარი.

ხალხურ მეთოდს თუ მიმართავთ, ასევე, იყენებენ ჩვეულებრივი შეშის წვისას გამოყოფილ ნაცარს, რომელიც თავის მხრივ გაცრილი უნდა იყოს და დილაადრიან, კარგ ამინდში, შევაფრქვიოთ გოგროვანთა ფოთლებს.

იოდი არა მართო მედიცინაში გამოიყენება, არამედ მოსავალს მავნებლებისგან იცავს! ის მცენარეებს ფიტოფტოროზს და ნაცროვან სოკოს მოაშორებს, ფესვებს და ნაყოფს ლპობისგან დაიცავს, ნერგებს გამოკვებავს და მოსავალს გაზრდის

იოდი მცენარის ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალურად ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ის ცალკეული ამინომჟავებისა და ცილების სინთეზში, სუნთქვაში, ფოტოსინთეზსა და აზოტის ცვლაში მონაწილეობას. ამასთან, ბუნებრივ ანტისეპტიკსაც წარმოადგენს.

ეს მიკროელემენტი ბევრი სახეობის სოკოს, ვირუსსა და ბაქტერიას აქტიურად ებრძვის – განსაკუთრებით ეფექტურია ფიტოფტოროზის, ნაცროვანი სოკოს და ლპობის საწინააღმდეგოდ. იოდი მცენარეს ნორმალური განვითარებისთვის, ბუტონიზაციისა და ნაყოფის განვითარებისთვის აუცილებელია.

მცენარეში იოდის დეფიციტი სხვადასხვა დაავადების მიმართ მის მდგრადობას ამცირებს. იოდის დეფიციტის მიზეზი შეიძლება იყოს ნიადაგში ამ ელემენტის არასაკმარისი რაოდენობა (განსაკუთრებით ეს ეხება ტორფის და მოოქროსფერო ნიადაგებს, მსუბუქ ქვიშნარს, ასევე ორგანული დეფიციტის სუბსტრატებს).

იოდისთვის ძალიან მჟავე ნიადაგი არახელსაყრელია. მათში იოდი წამიერად ქვედა ფენებში გადადის და მცენარისთვის მიუწვდომელი ხდება. ბუნებრივი იოდით ყველაზე მეტად მდიდარია შავი ნიადაგი.

მცენარეში ამ ელემენტის დეფიციტის ვიზუალურად განსაზღვრა რთულია, რადგან მისი ნაკლებობის ნიშნები ძალიან ზოგადია, ზოგიერთი კი სხვადასხვა დაავადების, მავნებლის მოქმედებას და მცენარის გაყინვის ნიშნებს ემთხვევა.

სწორედ ამიტომ, რეკომენდდებულია იოდის დამატებითი საკვები მცენარეს პროფილაქტიკის მიზნით მაინც მიაწოდოთ. ეს აგარაკის ნაკვეთისთვის ზედმეტი არ იქნება და მცენარეს ზიანს არ მიაყენებს.

ნერგების იოდით მორწყვა მის სწრაფად ზრდას ხელს უწყობს. განვითარების ადრეულ ეტაპზე ეს ელემენტი გარემოს მავნე ფაქტორებისა და სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ მცენარის მაღალი მდგრადობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს.

იოდის ხსნარით გამოკვება სასარგებლოა პომიდვრის, წიწაკის, კიტრის, ბადრიჯნის და კომბოსტოს ნერგებისთვის. სამუშაო ხსნარის დასამზადებლად 1 წვეთი იოდი 3 ლიტრ წყალში გახსენით. კარგად აურიეთ და ნერგები ძირში მორწყეთ. ნერგების იოდით გასამდიდრებლად ასეთი ერთჯერადი მორწყვა საკმარისი იქნება.

იოდის სპირტიანი ხსნარის ასეთმა მცირე რაოდენობამაც კი მცენარე შეიძლება დაწვას, განსაკუთრებით ახალგაზრდა მცენარე. სწორედ ამიტომ იოდით მანიპულაციის დროს ყურადღება მიაქციეთ, რომ ხსნარი ღეროს ან ფოთლებს არ მოხვდეს. თუ ეს დასანამი საშუალებაა – დოზები მკაცრად დაიცავით.

ძაღლყურძენასებრთა კულტურის სახიფათო დაავადება ფიტოფთოროზი არის. დაავადების გამომწვევი სოკო მცენარეზე ნიადაგიდან, სარეველებიდან და ბაღის ინსტრუმენტებიდან ხვდება.

განსაკუთრებით ხშირად ცივ, სველ ამინდში პომიდორი და კარტოფილი ავადდება. ფიტოფთოროზისგან მცენარეების შეფუთვა ვერ დაგიცავთ. მცენარის არა მხოლოდ ფოთლები, არამედ ნაყოფი და ფესვებიც იტანჯება.

მცენარეზე ფიტოფთოროზის გაჩენის პირველი ნიშანი ფოთლების შიგნითა მხარეს ყავისფერი ლაქების გაჩენაა. თანდათანობით ფოთოლი ყვითლდება და პათოგენის აქტიურობის გამო ხმება. პომიდვრის დასაცავად იოდის ხსნარი გამოიყენეთ.

დაახლოებით სამი კვირის შემდეგ, როცა პირველი აღმონაცენები გამოჩნდება, მცენარე 15 წვეთი იოდის, 10 ლ წყლის და 1 ლ უცხიმო რძის ნარევით დანამეთ. ასეთი დამუშავება 2-3-ჯერ ორკვირიანი ინტერვალით ჩაატარეთ.

ნაცროვანი სოკო მებაღეების ნამდვილი მტერია. ხშირად აზიანებს მოცხარს, ხურტკმელას, კოწახურს, კიტრს, პომიდორსა, გოგრას, ვარდებს, ფლოქსს, იორდასალამსა და ქრიზანთემას.

ნაცროვანი სოკოს საწინააღმდეგოდ დაგეხმარებათ ხსნარი 1 მლ იოდისა და 1 ლ უცხიმო რძისგან ან 9 ლ წყალში გახსნილი შრატი (ხსნარს შეგიძლიათ 1 ს/კ თხევადი საპონი დაუმატოთ). მორწყვა ყოველ ორ კვირაში ერთხელ შეგიძლიათ გაიმეოროთ, სანამ დაავადება მთლიანად არ გაქრება.

ასეთი იოდის ხსნარის „გვერდითი ეფექტი" შეიძლება გახდეს გაზრდილი ნაყოფიერება, ასე რომ ნაცროვანი სოკოს გარეშეც ამ ხსნარის კიტრსა და ყაბაყზე გამოყენება ზედმეტი არ იქნება.

ისეთი მავნებლები, როგორიცაა ცხვირგრძელა და მაისის ხოჭოს მატლი, იოდის ხსნარს ვერ იტანენ. მაისის ხოჭოს საწინააღმდეგოდ ასეთი ხსნარი მოამზადეთ: 20 მლ იოდი 10 ლ წყალში გახსენით. თითოეული ბუჩქი 1 ლ ხსნარით მორწყეთ.

თუ მატლი ახალგაზრდა მოცხარის ბუჩქებს აზიანებს, 5 ლიტრი ამ ხსნარით მცენარე გაზაფხულსა და შემოდგომაზე სეზონურად მორწყეთ.

თუ ხედავთ, რომ მცენარე კვდება, ან ჭკნება, 5 დღის ინტერვალით 3-ჯერ იოდის ხსნარით მორწყეთ: 20 მლ 10 ლ წყალში გახსენით.

იოდი მცენარეებში არა მხოლოდ ანტისეპტიკური და ბაქტერიოციდული თვისებების გამო გამოიყენება, არამედ როგორც უნივერსალური მკვებავი ნივთიერება. ასეთი სასუქი დადებით გავლენას ახდენს კომბოსტოზე, კიტრზე, პომიდორზე, წიწაკსა და ბაღის მარწყვზე.

პომიდვრის, კიტრის და წიწაკის გამოსაკვებად (როგორც სათბურში, ასევე ღია მიწაში) 10 ლ წყალში გახსნილი 40 წვეთი იოდის ხსნარი გამოიყენეთ. ამ ხსნარით 0,5 ლ თითოეული მცენარე პირველი ყვავილების გამოჩენისთანავე მორწყეთ. იოდის სასუქი 3-4 კვირაში ერთხელ გამოიყენეთ.ამ ხსნარით კომბოსტო ფორმირების პირველივე ეტაპზე მორწყეთ. შეიძლება იოდი არა მხოლოდ ბოსტნეულისა და მწვანილებისთვის, არამედ ოთახის მცენარეებისთვის გამოვიყენოთ? რა თქმა უნდა, ასეთი სასუქი განსაკუთრებით კარგი იქნება დასუსტებული მცენარეებისთვის. ყვავილების იოდით მორწყვა მხოლოდ სველ ნიადაგში ხდება და სასურველია ქოთნის კუთხეებში მორწყათ, რომ მცენარის ფესვები არ დაწვათ.

როგორც ხედავთ, გონივრული დოზის გამოყენების შემთხვევაში იოდი მეტად სასარგებლო მიკროელემენტია.

მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა

თხილის წამლობათა სქემა ბიო (ორგანული) მეურნეობისთვის

თხილის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა ბიომეურნეობებისათვის.

ბრძოლის ღონისძიებების სწორად დაგეგმის მიზნით აუცილებელია ადრე გაზაფხულზე და ვეგეტაციის პერიოდში (მცენარის განვითარების ფენოფაზების გათვალისწინებით) თხილის წარმოების ყველა ზონაში ჩატარდეს ფიტოსანიტარული მონიტორინგი, მავნე ორგანიზმების გამოსავლინებლად.

გვიან შემოდგომით ან ადრე გაზაფხულზე უნდა მოხდეს თხილის ბუჩქის სხვლა-ფორმირება, შემდეგ ჩამოყრილი ფოთლების, გამხმარი ტოტებისა და ნაყოფებისაგან ფართობის გასუფთავება, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ინფექციის მარაგს.

ვეგეტაციის დაწყებამდე ორგანულ-მინერალური სასუქი ბიომიქსის ნიადაგში შეტანა. თითოელ ძირზე 0,5 ლიტრის რაოდენობით.

პირველი წამლობა უნდა ჩატარდეს კვირტების დაბერვის ფაზაში, თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში სპილენძის შემცველი ფუნგიციდების გამოყენებით სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ.

მეორე წამლობა ტარდება მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში, სპილენძის შემცველი ფუნგიციდების, ტურინგენისა და ნიმის ზეთის კომბინირებული ნაზავის გამოყენებით. ბორდოს ნარევი (6-8 კგ/ჰა) ან კუპროქსატი (7-8 ლ/ჰა) ან კოსაიდი (3-4 კგ/ჰა) ან ჩემპიონი (7-8კგ/ჰა) ტურინგენი (6-8 ლ/ჰა) და ნიმის ზეთი (1,5-2 ლ/ჰა), კვირტის ტკიპისა და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ, ხოლო მცენარეთა ფოთლოვანი გამოკვების მიზნით აღნიშნულ სამუშაო ნაზავს უნდა დაემატოს თხევადი ორგანული სასუქი ორგანიკა (4-5 ლ/ჰა).

მესამე წამლობა ტარდება აპრილის ბოლოს მაისის დასაწყისში თიოვიტ-ჯეტას, ლეპიდინის და ტურინგენის კომბინირებული ნაზავის გამოყენებით. თიოვიტ-ჯეტა ან სულფოლაკი (3-4 კგ/ჰა), ლეპიდინი (4-6ლ/ჰა), ტურინგენი (4-6 ლ/ჰა) ნაცრის, აზიური ფაროსანას პიველი თაობის პირველი და მეორე ხნოვანების ნიმფების, შავი ხარაბუზას და ბუგრების წინააღმდეგ.

მეოთხე წამლობა ტარდება ივნის-ივლისში, თიოვიტ-ჯეტას, ლეპიდინის და ნიმის ზეთის კომბინირებული ნაზავის გამოყენერბით. ლეპიდინი (6-8 ლ/ჰა) და ნიმის ზეთი (1,5-2 ლ/ჰა), აზიური ფაროსანას მეორე თაობის პირველი და მეორე ხნოვანების ნიმფების, შავი ხარაბუზას, ამბროზიის ხოჭოს და ტკიპების წინააღმდეგ, ხოლო მცენარეთა ფოთლოვანი გამოკვების მიზნით აღნიშნულ სამუშაო ნაზავს უნდა დაემატოს ორგანული სასუქი ორგანიკა (5 ლ/ჰა).

მეხუთე წამლობა უნდა ჩატარდეს საჭიროების მიხედვით (წვიმები და ჭარბი ტენიანობა) იგივე პრეპარატებით რაც მეორე და მესამე წამლობის შემთხვევაში.

მოსავლის აღების შემდეგ აუცილებელია ჩატარდეს ბაღის დამუშავება სპილენძს შემცველი პრეპარატებით.

მცენარეზე პრეპარატების კარგად გადანაწილებისა და შენარჩუნებისათვის სასურველია ყოველ 100 ლიტრ გამოყენებულ წყალს დაემატოს 100 მლ. მიმწებებელი ადიუგრეინი – 10%-იანი.

გახსენება
რაფიელ შავგულიძე

ბატონო რაფიელ, „ბესარიონოვიჩ“, მოგონების ამ წერილით თქვენი ოჯახის წევრების, გვარის, ჯიშისა და გენეალოგიის წარმომადგენლებს, მრავალ ნაცნობ მეგობარს თვალწინ წარმოუდგებათ ყვარლის კოლორიტი პიროვნება, დაჯილდოებული გამორჩეული ღირსებებით: დიდებული ქართული ოჯახის მეთაური,შესანიშნავი ორატორი, ბრწყინვალე ლიტერატორი და ქართული ხალხური შემოქმედების ღრმა მცოდნე; პროფესიონალი პედაგოგი, სკოლის შესანიშნავი ხელმძღვანელი, რაიონის განათლების სფეროს თავკაცი.

ბატონო რაფიელ! განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო თქვენი მოღვაწეობა გაზეთ „ყვარლის“ რედაქტორად მუშაობის წლებში. აქ სრულად გამოჩნდა თქვენი ერუდიცია, პრესის ეფექტური გამოყენება საზოგადოების საჭირბოროტო პრობლემების გასაშუქებლად. მრავალს გაუკვალეთ გზა გაზეთში. სამწუხაროდ, დღეს ცოცხლები აღარ არიან ყოფილი რედაქტორები დავით ლაფაჩიშვილი, გივი ყოჩიშვილი, გურამ გურასპიშვილი, ავთანდილ გაფრინდაშვილი, ნიჭიერი ჟურნალისტი მერი ჩიხიაშვილი.

ბოლო წლებში რედაქტორის ესტაფეტას საიმედოდ და ღირსეულად აგრძელებს ალექსანდრე გიგილოშვილი.

ძველ კოლექტივს შემორჩნენ დალი ტატულიშვილი, მარინა დათუაშვილი, ნუგზარ ღონიაშვილი. საიმედო, მრავალმხრივ განათლებული კადრი შემოემატა რედაქციას ია გიგიაშვილისა და ოთარ დავითაშვილის სახით.

ნადირობის ტრფიალი იყავით, თუმცა თოფაკიდებულს სეირნობა უფრო გიყვარდათ ყვარლის წარმტაც ბუნებაში.

ბატონო რაფიელ, უდროოდ დაგეღუპათ მეუღლე, შესანიშნავი ოჯახის დედა, კეთილშობილი ადამიანი, პროფესიონალი ფარმაცევტი – ეთერი შაოშვილი. მოუშუშებელი ჭრილობა მოგაყენათ მისმა გარდაცვალებამ. სამი ვაჟკაცი დაგრჩათ...

დასანანია, რომ მათ დავაჟკაცებაში მხარში ვერ ედგნენ მშობლები – თუმცა შავგულიძეების გვარი არ შეურცხვენიათ. დღეს ისინი რაიონში და მის ფარგლებს გარეთ დაფასებული მსახურნი არიან თავისი მამულის...

თქვენი შვილებიდან უფროსი ალექსანდრე შავგულიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელ პოსტს იკავებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ამჟამად წარმატებული ბიზნესმენია, მისი ძმები – გია და გოჩა შავგულიძეები ჯანმრთელობის სფეროში საქმიანობენ: ცნობილი და დაფასებული ექიმები არიან...

გვენატრები ბატონო რაფიელ, ჩვენო „ბესარიონოვიჩ“. საუკეთესო ადამიანები ღმერთს ნაადრევად თავისთან მიჰყავს.

შენი მეგობრები:
ვალერიან ზურაშვილი,
ვიქტორ მირიანაშვილი

სოსო სხირტლაძის
გახსენება

ბალღოჯიანმა და ყვარელმა კიდევ ერთი გამორჩეული მამულიშვილი გააცილა ზეციურ საქართველოში. სამწუხაროდ, მას არ ეგონა თუ კოვიდი დაამარცხებდა.

რამდენიმე თვეა მისი გარდაცვალებიდან, რაც დატოვა თავისი ოჯახი, დაუტოვა დიდი ტკივილი და მონატრება საყვარელ მეუღლეს, შვილებს, მეგობრებს.

ამ ქვეყნიდან 51 წლის ასაკში წავიდა. ეს იყო ალბათ მისი ბედისწერა.

უყვარდა სოფელს გულისხმიერი, კეთილშობილი, მშრომელი ადამიანი. ოჯახზე მზრუნველი, მოსიყვარულე და თავდადებული მამა იყო მუდამ. დიდი მეგობარი დაკარგა სამეგობრომ, ჭეშმარიტი კაცი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში დაიწყო შრომითი საქმიანობა – ეწეოდა მევენახეობას, მებოსტნეობას, მეფუტკრეობას.

2009 წლიდან შეიძინა ყვარელში ფართობი და გახსნა პურის საცხობი საწარმო. დღე და ღამე ხალხის სამსახურში ატარებდა. თან დრო და დრო ქველმოქმედებას გაჭირვებული ადამიანების კეთილდღეობისთვის. ვინ იცის რამდენი კეთილი ფიქრი და ოცნება გაიყოლა აუხდენელი.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი სული იმქვეყნად.

მეგობრები

რა არის ქიმიური იარაღი და რა თავისებურება ახასიათებს მას

უკრაინული მედიის ცნობით, მარიუპოლში რუსმა საოკუპაციო ძალებმა უკრაინელი სამხედროებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის

წინააღმდეგ უცნობი მომწამვლელი ნივთიერება გამოიყენეს, რომელიც მტრის უპი-ლოტო საფრენი აპარატიდან გააფრქვიეს.

რა არის ქიმიური იარაღი?

ქიმიური იარაღი – მასობრივი დაზიანების იარაღის სახეობაა, რომლის მოქმედება ეფუძნება საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებების, ტოქსინების და ფიტოტოქსინების გამოყენებას. მოიცავს ერთჯერადი გამოყენების ქიმიურ საბძოლო მასალებს (საარტილერიო ჭურვებს, საავიაციო ბომბებს, კოჭებს და სხვა) და მრავალგზის გამოყენების ე.წ. ქიმიურ საბრძოლო ხელსაწყოებს (გადასასხმელი საავიაციო ხელსაწყოები, თერმომექანიკური და მექანიკური გენერატორები).

ქიმიური იარაღის მიტანის საშუალებებს წარმოადგენს ავიაცია, რაკეტები, არტილერია, ქვეითი ჯარის საშუალებები, საინჟინრო და ქიმიური ჯარები.

ქიმიური იარაღის ძირითადი თვისებებია:

• მაღალი ტოქსიკურობა, რომელიც მცირე დოზითაც კი იწვევს ცოცხალი ძალის მძიმე ან მომაკვდინებელ მასობრივ დაზიანებას;
• დიდი შემღწევი უნარი არაჰერმეტულ ნაგებობებში, სამხედრო ტექნიკის ობიექტებში და ა.შ.;
• ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტის დროული აღმოჩენის და მომწამვლელი ნივთიერების ტიპის ამოცნობის სირთულე;
• მოქმედების დიდი ხანგრძლივობა.

ქიმიური იარაღის გამოყენება აკრძალულია ჟენევის 1925 წლის ოქმით. 1993 წელს პარიზში ხელი მოაწერეს „კონვენციას ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების, გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ” (ამოქმედდა 1997 წლის აპრილში).

ნაცარი – გამოიყენეთ ბუნებრივი სასუქი

საქართველოში სასოფლო დასახლებების მოსახლეობის ნაწილი, საჭმლის მოსამზადებლად, გასათბობად და ა.შ ხის ღუმელს და ბუხარს იყენებს. შესაბამისად, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში უხვად გროვდება ნაცარი.

ნაცარი კი ერთ-ერთი საუკეთესო სასუქია. ეს ბუნებრივი სასუქი მდიდარია სხვადასხვა მიკროელემენტებით.

ფოთლოვანი ხის ნაცარი შეიცავს: 3,5% ფოსფორს, 10% კალიუმს და 30% კალციუმს.

ხოლო წიწვოვანი ხის ნაცარი შესაბამისად: 2,5% ფოსფორს, 6% კალიუმს და 35% კალციუმს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ნაცარი შეიცავს მაგნიუმს, ნატრიუმს და სხვა ელემენტებს.

შემადგენლობიდან გამომდინარე ნაცარი, ხელს უწყობს მცენარის ზრდას და განვითარებას, აძლიერებს მცენარეთა იმუნიტეტს და კარგი საშუალებაა მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლაში.

ნაცარს იყენებენ მებაღეობაში, მემცენარეობაში, განსაკუთრებით სასარგებლო კი ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურებისთვისაა.

ნაცრის სასუქად გამოყენების რამდენიმე მეთოდი

1. მშრალადა) მორწყვის წინ ნაცარს თხელ ფენად აბნევენ მცენარეთა მწკრივში.

ბ) ზოგი ფერმერი ჩვეულებრივ იყენებს როგორც კალიუმიან სასუქს-100 კგ-ს 1 ჰექტარზე.

2. ნაცრის ხნარის მომზადების წესი ამგვარია: 3 სუფრის კოვზ ნაცარს, 1 ლიტრ წყალს ვასხავთ და ვაჩერებთ 1 კვირის განმავლობაში (დაახლოებით 150-200 გრ. ერთ ვედრაზე). ხსნარის ნორმა ერთ ძირ კიტრზე, ხახვზე, დაახლოებით 0,5 ლიტრია.

ნაცარი უნდა ინახებოდეს მშრალ და დახურულ სათავსში, ნესტს და სისველეს მისგან კალიუმი და სხვა მიკროელემენტები გამოაქვს.ნაცრის შემადგენლობიდან გამომდინარე მოერიდეთ მის გამოყენებას ტუტე რეაქციის ნიადაგებში.

Agrokavkaz. ge



ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:№88.88221097
თარიღი:19/04/2022

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის #4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი #1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ნემსაძეს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 ნოემბრის #ბ88.88213295 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

გივი ზაუტაშვილი
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ყვარლისმუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნითაცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე:

ლოტის N	ქონების დასახელება და მისამართი	არასასოფლო-სამეურნეო დან. მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილ. ბილეთი (ლარი)
1	ქ. ყვარელი	187	_	57.06.61.541	17242	3448	862	50

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია: მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390;

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი საააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2022 წლის 25 მაისს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2022 წლის 26 აპრილიდან 25 მაისის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. №1-ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი: № 599 472 067; № 577 062 844; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

მზია აბესაძის მონატრება

რვა ურთულესი თვე გავიდა ჩვენთან განშორებიდან, ტკივილიანი და ცრემლიანი. პანდემიამ გიმსხვერპლა. თვითონ კოვიდიანმა ავადმყოფ ოჯახის წევრებს მოუარე და უერთგულე თავდაუზოგავად.

ამბობენ „დედა ქარში გატანილ ანთებულ სანთელს ჰგავსო“. რა სამწუხაროა, რომ ვერ გაგიფრთხილდით, სანთელს ხელებით არ მოვუჩრდილეთ. რომ იცოდე რა ცარიელია ბინა, რომელსაც შენი ღიმილით ანათებდი და გულით ათბობდი. აქ ყველაფერს შენი ხელი ამჩნევია და ყველა საგანი შენზე ყვება. რუდუნებით მოვლილ წიგნებს თუ მონიშნულ სტატიებს და ინტერვიუებს, საგანგებოდ დაკეცილ გაცრეცილ გაზეთებს მკითხველი მოენატრათ შენი სახით.

რომ იცოდე, როგორ გვიჭირს უშენოდ. ჩარჩოშემოვლებული ფოტოდან ალერსით გვიყურებ და გვამხნევებ. ყველასთვის მოსიყვარულე, მზრუნველო და კეთილო, უსაზღვროდ გვიყვარხარ და გვენატრები. უშენოდ მოვიდა აპრილი. გვაკლიხარ ოჯახს და შენს მშობლიურ ქალაქს.

პირველად შევხვდებით აღდგომას უშენოდ, მოგვიყრი თავს, ყველა ერთად მოვალთ საფლავზე და გახარებთ ქრისტეს აღდგომას.

მეუღლე იოსებ ფუტკარაძე,
შენი შვილები და შვილიშვილები

ქეთევან ლომიაშვილი-ადეიშვილის გახსენება

ერთი წელი ხდება, რაც სოფელ მთისძირის მინამ მიიბარა შესანიშნავი ქალაბატონი ქეთევან ლომიაშვილი-ადეიშვილი. ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოში დაბადებულმა და გაზრდილმა წლების წინ თავისი ბედი დაუკავშირა მთისძირში მცხოვრებ შალვა ადეიშვილს. ქალაბატონი ქეთევანი თელავის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მრავალი წელი ემსახურებოდა მთისძირის საშუალო სკოლის მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს. იყო განათლებული და თავისი საქმის მცოდნე პიროვნება. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის წოდება. ქალბატონმა ქეთევანმა მთისძირელ მოსახლეობას თავი შეაყვარა თავისი კეთილშობილური და შრომისმოყვარე საქმიანობით, იყო კარგი დისახლისი და კარგი მეურვე, არასდროს არ თაკილობდა ეკეთებინა ის საქმე, რომელიც მისი გასაკეთებელი არ იყო. ორივემ ერთად შექმნეს მრავალშვილიანი ოჯახი. ამბობენ შვილები მაშინ არიან შენები, სანამდე დაფრთიანდებიანო. ასეც მოხდა; ცხოვრება კი არავინ არ იცის ვის რას უმზადებს და მათმა შვილებმაც – ყველამ თავისი ცხოვრების გზა აირჩია. ბოლო წლებში ქალბატონ ქეთევანს ჯანმრთელობამაც უმტყუნა.

სამი შვილისა და ექვსი შვილიშვილის ბებიას, როგორც ენერგიულ ქალბატონს, კიდევ შეეძლო ეკეთებინა ოჯახისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმე, მაგრამ როგორც იტყვიან, ღმერთსაც კარგები უნდაო და უფალთან დაიდო ბინა. თავის მოქონიებულ ბინაზე კი თავისი შვილების და შვილიშვილების მიმხედად დატოვა იმედიანი მეუღლე, რომლის დარდიც თან წაიყოლა.

ჩვენო ქეთევან, იძინე მშვიდად და გჯეროდეს, შთამომავლობაში შენი სახელი არასოდეს არ დაიკარგება, ყოველთვის აგინთებთ სანთლებს, უშენოდ აღვნიშნავთ შენს ყოველ დაბადების დღეს – 1 სექტემბერს. შენს ოჯახში ისევ მოვიყრით თავს შენი შვილიშვილები, ახლობლები და ისევ იქნება სტუმრიანი და ხალისიანი ოჯახი, როგორც წლების წინ იყო. ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს.

ოჯახი, ახლობლები

არნიფი ფირანიშვილის მონატრება

ჩემო საყვარელო არნიფი, მიძნელდება შენზე ლაპარაკი წარსულში.

როგორ გამოვხატო, რა ვქნა, მარტოდ ვარ დარჩენილი უშენოდ, მენატრები. ტკივილით და ცრემლიანი თვალებით გიხსენებ ჩემო საყვარელო არნიფი. შენი გარდაცვალებიდან განვლილი თვეები და წლები გასახსენებლად ჩემთვის სულ. ძალიან მტკივნეულია. ძალიან მენატრება შენი ხმა და სიცილი, შორიდან გესიყვარულები, გეფერები, ჩემთვის ყოველთვის დაუვიწყარი იქნები ჩემო არნიფი.

სად ვისაუბროთ ახლა მე და შენ,
როცა გზა არის და სიმარტოვე,
ვის ვესაუბროთ, რომ ფიქრი მტანჯავს
და მგონი ახლა მუდმივად მტოვებ.
ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

თინა კიკოლაშვილი

ბზა და მისი სამკურნალო თვისებები

ბზის სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდან არის ცნობილი. მას იყენებენ როგორც სიცხის დამწევ, მადეზინფიცირებელ, შარდმდენ და გამხსნელ, წნევის დამწევ საშუალებას, მაგრამ მისი გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო, რადგან მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს საშიშ ნივთიერებებს.

ბზა (უხუს) – ბზისებრთა ოჯახის ორლებნიან მცენარეთა გვარი, მარადმწვანე დაბალი ხე ან ბუჩქია. კავკასიაში ბუნებრივად გვხვდება ორი რელიქტური სახეობა: კოლხური ბზა (და ჰირკანული ბზა (მოშენებულია ბზის ოთხი უცხოური სახეობა: ჩვეულებრივი ანუ მარადმწვანე ბზა, წვრილფოთოლა ბზა, იაპონური ბზა და ბალეარული ბზა.

ლათინური დასახელება ბუხე ითარგმნება, როგორც მკვრივი და ეს მცენარის სიმკვრივეზე მიუთითებს.

მცენარის ყველა ნაწილი და განსაკუთრებით ფოთლები და ქერქი შეიცავს ბუქსინს, პარაბუქსინს, ბუქსინიდინს, პარაბუქსინიდინს და ზოგიერთ სხვა ალკალოიდს, ეთერზეთებს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს.

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ადამიანისა და ცხოველებისთვის საშიშ ნივთიერებებს.

ბზა ძალზე შხამიანი მცენარეა, ამიტომ მას ძალზე იშვიათად იყენებენ, რადგან ზუსტი დოზის განსაზღვრა ძნელია. დოზის გადაჭარბება იწვევს მძიმე მოწამვლას, რომელსაც თან ახლავს პირღებინება, კუჭის აშლა, ჰიპერემია (სისხლის მოწოლა კანზე), კრუნჩხვები, სუნთქვის შეჩერება. ზედმეტმა დოზამ შეიძლება ლეტალური შედეგიც გამოიწვიოს.

ბზით მკურნალობენ:

რევმატიზმსა და ტკივილს სახსრებში
არითმიასა და მიოკარდის იშემიას
ნაღვლმდენი და შარდმდენი გზების ანთებას
ჩირქოვან ინვაზიებს
დაინფიცირებულ ჭრილობებს
თმის ცვენასა და სებორეას.

ბზის სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდან არის ცნობილი. მას ჯერ კიდევ ანტიკურ დროს იყენებდნენ, როგორც ხველების საწინააღმდეგო, კუჭნაწლავის დაავადებების, ქრონიკული ციებ-ცხელების, მალარიის სამკურნალო საშუალებას.

ამჟამად ჰომეოპათიაში ბზისგან დამზადებულ პრეპარატებს იყენებენ, როგორც ოფლმდენ, სიცხის დამწევ, ციებ-ცხელების საწინააღმდეგო, ჭრილობების შეხორცების, მადეზინფიცირებელ, ანტიბაქტერიულ, ნაღვლმდენ, შარდმდენ და გამხსნელ საშუალებას.

ასევე ბზაზე დამზადებული საშუალებები გამოიყენება რევმატიზმისა და პარაზიტარული ინფექციების, სხვადასხვა ანთებითი დაავადების დროს. ჰიპერტონიით დაავადებულები მას იყენებენ მაღალი არტერიული წნევის შესამცირებლად. ბზაზე დამზადებული პრეპარატები ასევე გამოიყენება გარეგანად: როგორც კოსმეტიკური საშუალება თმის ცვენისა და სებორეის დროს.

ბზა კარგად წმენდს ჰაერს – ფოთლები გამოყოფს ფიტონციდებს, რომელსაც ბაქტერიციდული თვისებები აქვს და ანადგურებს დაავადებების გამომწვევ მიკრობებს. საოცარია, მაგრამ პატარა ბუჩქს შეუძლია სტრეპტოკოკების 20%-ისა და სტაფილოკოკების 40%-ის განადგურება.

ბზის გამოყენება არ შეიძლება:

ბზაზე დამზადებული ნაყენის გამოყენება არ შეიძლება ასთმის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, გულის სერიოზული დაავადებების, ალერგიის დროს.

ნაყენის დამზადების წესი:

C ჩაის კოვზ გამხმარ ფოთოლს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 20 წუთი. მიიღეთ დღეში სამჯერ მესამედი ჭიქის ოდენობით.

გარეგანი გამოყენებისთვის ერთმანეთში არეულ ბზის ფოთოლსა და ქონდარს (110 გრამი – 5:6 თანაფარდობით) დაასხით 60%-იანი სპირტის ხსნარი. გააჩერეთ ორი კვირის განმავლობაში. მიღებული ხსნარი შეიზილეთ თმაში.

საინტერესო ცნობები ბზის შესახებ:

რა თქმა უნდა, ბზა ქრისტიანებისთვის მაცხოვრის იერუსალიმში შესვლის მთავარი სიმბოლოა. ამ დღეს ქრისტიანები ბზობას უწოდებენ. ბზა იკურთხება, როგორც სიმბოლო უფლისთვის მიგებებისა. იგი ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაულია, რომელიც ყოველთვის ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს აღინიშნება.

გარდა ამისა, ძველ დროში ბზისგან თილისმებს ამზადებდნენ. მიიჩნეოდა, რომ ის იცავს ავი თვალისგან, შავი ძალებისგან, ენერგეტიკული ვამპირიზმისგან და სხვა. აგრეთვე არსებობს მოსაზრება, რომ თუ ადამიანი ბზის რტოს მუდამ თან ატარებს, ის დაცული იქნება უბედური შემთხვევებისგან, ასევე მჭევრმეტყველება მოემატება.

მულჩა – მულჩირება – ის რაც ბუნებამ თვითონ გვასწავლა

მულჩირების შესახებ

ბუნებაზე დაკვირვება და ბუნებრივი კანონზომიერების გათვალისწინება ორგანული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

სწორედ ბუნებამ უკარნახა მეურნეს მულჩირების მეთოდი, რომლის დროსაც ნიადაგი მცენარის გარშემო იფარება სხვადასხვა მასალით.

მართლაც, ტყეში ხეების, ბუჩქებისა და სხვა მცენარეების ქვეშ ნიადაგი ყოველთვის დაფარულია გამხმარი ფოთლებით, ხავსით, მკვდარი მცენარეული მასალით.

სწორედ ეს ბუნებრივი საფარი იცავს ნიადაგს მაღალი ტემპერატურისაგან, გამოშრობის, ჩარეცხვისა და ეროზიისაგან, აფერხებს სარეველა მცენარეების აღმოცენება-განვითარებას, იცავს მცენარეებს ყინვისაგან.

მულჩი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს მავნე მეტეოროლოგიური პირობებისაგან ნიადაგის დაცვას. ნიადაგის მულჩირება შესაძლებელია სხვადასხვა მასალითა და სხვადასხვა მიზნით.

მულჩირებისთვის გამოიყენება როგორც დაქუცმაცებული ტორფი, გადამწვარი ორგანული მასალა, მარცვლეული კულტურების ნამჯა, ჩამოცვენილი ფოთლები, ნახერხი, ბალახი, პოლიეთილენი, მუყაო, ქაღალდი და სხვა ორგანული და არაორგანული მასალები.

დამულჩვით მოსავლიანობის გადიდება დიდი ხანია ცნობილია, თუმცა იგი ფართოდ არ გამოყენებოდა, რადგან კულტურის მიხედვით მულჩის ეფექტი ზუსტად დადგენილი არ არის. პირველად 1914 წელს ეკარტმა ჰავაის კუნძულებზე ანანასის და შაქრის ლერწმის პლანტაციებში ასფალტის საფარი გამოიყენა მულჩად.

მანამდე მე-19 საუკუნის დასაწყისში სარეველების წინააღმდეგ ნიადაგის ცემენტითა და ქვით დაფარვა სცადეს. საქართველოში ნიადაგის დამულჩვის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის აკად. მ. გოგოლიშვილს. მის მიერ დამტკიცებულ იქნა, რომ დამულჩვის ეფექტურობა დამოკიდებულია მულჩის (მულჩას) სახეობაზე, გამოყენების ხერხებზე, დროზე, კლიმატურ პირობებზე და სხვა.

მულჩირებისათვის მასალის არჩევა

მულჩირებისათვის მასალის არჩევა დამოკიდებულია ნიადგის ტიპზე, კლიმატსა და მულჩირების მიზანზე (სარეველების დათრგუნვა, ტენის აორთქლების შემცირება, ნიადაგის გამდიდრება და სხვ.).

ნებისმიერი მასალით (როგორც ორგანულით, ისე არაორგანულით) მულჩირება თრგუნავს სარეველების ზრდას, იცავს ნიადაგს ტენის ჭარბი აორთქლებისაგან, არეგულირებს სითბურ რეჟიმს: ზაფხულში ნიადაგი ნაკლებად ხურდება, ხოლო მცენარის ფესვებთან ახლოს შექმნილი ტენიანი გარემო ხელს უწყობს მცენარის ზრდას; ზამთარში კი ნიადაგი უკეთ ინარჩუნებს სითბოს.

მაგრამ თუ სარეველების დათრგუნვის, სითბური რეჟიმის რეგულირებისა და ტენის აორთქლების თავიდან აცილების გარდა, ნიადაგის სტრუქტურასა და მცენარის უკეთ გამოკვებაზეც ვფიქრობთ, მაინც უმჯობესია, მულჩირებისათვის ორგანული მასალები გამოვიყენოთ.

ორგანული მასალის გარდა, მულჩირებისათვის შესაძლებელია სხვა მასალების გამოყენებაც (მაგ. პოლიეთილენის), მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ მასალის თვისებები.

მულჩირებისათვის შავი პოლიეთილენის გაუმჭვირვალე მასალის გამოყენებისას ნიადაგის სტრუქტურა არ უმჯობესდება და არც საკვები ნივთიერებებით მდიდრდება, მაგრამ ფერხდება სარეველების ზრდა და ტენის აორთქლება.

გასათვალისწინებელია, რომ პოლიეთილენის მასალა წვიმას იჭერს და ბოსტნეულ კულტურებში მოსაგვარებელია მცენარის მორწყვის საკითხი.

გაზაფხულზე შავი პოლიეთილენი თბება და ნიადაგსაც ათბობს, მაგრამ ზაფხულის სიცხეების დროს იქმნება პრობლემა. პოლიეთილენი შესაძლოა ძლიერ გახურდეს და მკვეთრად აწიოს ნიადაგის ტემპერატურა, რაც საშიშროებას უქმნის ნიადაგის ცოცხალ ორგანიზმებსაც.

ორგანული მასალით მულჩირება

ორგანული მასალით მულჩირება ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესების კარგი საშუალებაა. გარდა იმისა, რომ მულჩით დაფარული ნიადაგი დიდხანს ინარჩუნებს სითბოს, ტენსა და სიფხვიერეს, სწრაფად ხდება ნიადაგის ჰუმუსის ფენის აღდგენა.

მულჩის ქვეშ იქმნება ოპტიმალური პირობები მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობისათვის. ისინი გადაამუშავებენ ორგანულ მულჩს და ამდიდრებენ ნიადაგს. ამასთან, ორგანული მულჩი ხელს უწყობს ჭიაყელებისა და ნიადაგის სხვა ცხოველების გამრავლებას, რომლებიც აუმჯობესებენ ნიადაგის სტრუქტურას.

ორგანული მულჩი ხელს უშლის ნიადაგის ქერქის წარმოქმნას, იცავს ნიადაგს ქარისა და მზის სხივების ზემოქმედე-ბისაგან, ამასთან ნიადაგი უკეთ“სუნთქავს”, აძლიერებს ნიადაგში მიმდინარე სასარგებლო ბიოქიმიურ პროცესებს, რის შედეგადაც უკეთესდება მცენარის კვება და მცენარე ძლიერდება.

მულჩირებულ ნიადაგში ტემპერატურის მერყეობის ამპლიტუდა ნაკლებია, შენარჩუნებულია ოპტიმალური ტენიანობა და სითბური რეჟიმი, რაც აჩქარებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს და აუმჯობესებს მცენარის კვებას.

ორგანული მულჩი აფერხებს ზოგიერთი დაავადებისა და მავნებლის ზრდა-განვითარებას. მაგ., კოლორადოს ხოჭო „გაურბის“ თივისგან დამზადებულ მულჩს. ვაშინგტონის შტატის ბიოფერმებში ეკოლოგიურად სუფთა ყურძნის მოყვანა ძალზედ პოპულარულია.

თანამედროვე ორგანულ მეურნეობაში მულჩად გამოყენებულია უახლოესი ტექნოლოგიებით დამზადებული ფირები, რომელსაც აწარმოებს ისრაელის ფირმა „გინეგარი“.

ფირების გამოყენებით იზღუდება სარეველა მცენარეების ზრდა, ნაყოფი არ ეხება ნიადაგს, მცირდება სიდამპლის რისკი. ფირის ქვეშ ნარჩუნდება მდგრადი ტემპერატურა და ზომიერი ტენიანობა, 30%-ით მცირდება მორწყვის ხარჯები, 15%-ით მატულობს მცენარის ზრდის ტემპი, იზრდება ნაყოფიერება.

ორგანული მასალით მულჩირებისას გასათვალისწინებელია:

- რეკომენდებული არაა მულჩირება ადრე გაზაფხულზე, როცა მიწა ჯერ არ არის გამთბარი. ეს გამოიწვევს ლპობას, მით უმეტეს, წვიმიანი გაზაფხულის პირობებში. მულჩირება ხდება მიწის კარგად გათბობის შემდეგ;
- მულჩირების წინ ნიადაგი წინასწარ უნდა გასუფთავდეს სარეველების, ხმელი ტოტების, ფოთლებისაგან. თუ ზედაპირი მშრალია, ნიადაგი უნდა გაფხვიერდეს, მოირწყას, და შემდეგ დაიმულჩოს;
- მულჩირებისათვის განკუთვნილი მასალა არ უნდა შეიცავდეს სარეველების თესლს და წინასწარ კარგად უნდა დაქუცმაცდეს;
- თუ მულჩირებისათვის გამოყენებულია მწვანე მასა თხელ ფენად უნდა დალაგდეს, ხმელი მასალა (მაგ., თივა) შეიძლება უფრო სქელ ფენად დაეფინოს (მაგ., 2-10 სმ სისქეზე) ნიადაგის ზედაპირს;
- შემოდგომით მულჩი უნდა ჩაიხვნას ნიადაგში ან რჩება გაზაფხულამდე. თუ მულჩს ზამთარშიც დავტოვებთ, იგი ხელს შეუწყობს ჭიაყელებისა და ნიადაგის სასარგებლო მიკროფლორის გამრავლებას, რაც ნიადაგს ჰუმუსით გაამდიდრებს და სტრუქტურასაც გააუმჯობესებს.

ავტორები
ნ. ნაკაშიძე, დ. ჯაში

ზინობიანში უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით შიდა საუბნო გზა მოასფალტდება, მოეწყობა უდიური ეთნოგრაფიული მუზეუმი, შეხვედრების სივრცე და თანამედროვე სტანდარტების სკვერი.

პროექტის მიზანია, ზინობიანის ეთნოსოფლის – როგორც უნიკალური ტურისტული პროდუქტის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ვიზიტორების რაოდენობის და ინვესტიციების მოცულობის ზრდას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ შიდა საუბნო გზის მოასფალტების, სკვერის კეთილმოწყობისა და არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე ტენდერი უკვე გამოაცხადა.

შოროხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები დასრულდა

სოფელ ბალღოჯიანში, მდინარე შოროხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები დასრულდა!

პროექტის განხორციელების შედეგად სასოფლი-სამეურნეო სავარგულები დაცული იქნება დატბორვისაგან!

სპორტულ ასპარეზობებზე

თავისუფალი ჭიდაობა

ქ. რუსთავში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ყვარლის სასპორტო სკოლის მოჭიდავეებმა.

65 კილოგრამ წონით კატეგორიაში მიხეილ ბერძენიშვილმა და 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნიკოლოზ ბუშელაშვილმა მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები და მყარად დაიმკვიდრეს ადგილი საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. (მწვრთნელი მალხაზ როზომაშვილი).

***

გურჯაანში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე 20 წლამდელთა შორის შესანიშნავად იასპარეზა ბესიკ სეფაშვილმა 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მან ფინალამდე საკმაოდ იოლად დაამარცხა მეტოქეები. სამწუხაროდ, ფინალური შეხვედრა დათმო ევროპის მოქმედ ჩემპიონთან და დაეუფლა ვერცხლის მედალს (მწვრთნელები: ვანო ჭანტურიძე, გივი მეტრეველი).

ქართული ჭიდაობა

მიმდინარე წლის 24-25 მარტს გურჯაანში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში, სადაც ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა შალვა გულაშვილმა და ლუკა ვარდიაშვილმა მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები. (მწვრთნელი გიორგი ზაკალაშვილი).

ძუიდო

თბილისში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის შესანიშნავად იასპარეზა დავით ხარაზიშვილმა. მან მძიმე წონაში ყველა მეტოქე დაამარცხა და დაეუფლა ქვეყნის ჩემპიონატის ოქროს მედალს. (მწვრთნელი ილია მჭედლიშვილი).

ალეკო ქაფიანიძე

მდინარე დურუჯზე ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს

საქართველოს მასშტაბით არ არსებობს დურუჯზე მზაკვარი მდინარე, რომლის ღვარცოფული აზვირთების შედეგად გამოწვეული სავალალო შედეგები კარგად ახსოვთ უფროსი თაობის ყვარლელებს. გაზაფხულზე თოვლის ინტენსიური დნობის გამო მდინარე ველარ ეტევა კალაპოტში და საშიშროებას უქმნის ქ. ყვარელსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

საქართველოს მთავრობა მუდმივად ითვალისწინებს ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნას და სისტემატურად გამოყოფს საჭირო ფინანსებს მდინარე დურუჯისაგან მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვის თავიდან აცილების მიზნით, ყვარელში მდინარე დურუჯის ნაპირსამაგრი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი, გივი ზაუტაშვილი მერის პირველ მოადგილესთან, ზურაბ ნემსაძესთან ერთად პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცვნენ.

ალეკო ქაფიანიძე

„ილიონის“ მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია ყვარელში

19 აპრილს, ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის სცენაზე შედგა ქართული კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო გაერთიანება „ქართველი“-ს, ლიტერატურული სერია „ილიონი“-ს მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია.

ღონისძიების იდეის ავტორი, დამდგმელი რეჟისორი და წამყვანი გახლდათ, ერთ-ერთი წიგნის ავტორი (ლექსების კრებულის – „ფიქრები წარსულიდან“), შოუმენი იოანე ქართველი.

ლეგენდარული „ცისფერი ტრიო“-ს სიმღერა – ლურჯი აპრილი დასდევდა ფონად პოეზიის საღამოს, რომელშიც მონაწილეობდნენ პოეტები: კახეთის რეგიონის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი ლეილა ლეგაშვილი; ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი იზოლდა იოსებიანი, ლია გიგიტაშვილი, გიორგი ზუბიტაშვილი, დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი, ბეჟან კობიაშვილი, რამინ ელიოზიშვილი, ელისო ბუშელაშვილ, ნანა გოგაშვილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მაყვალა გონაშვილი, მწერალთა, ხელოვანთა, საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია გულანის დამაარსებელი, პრეზიდენტი ნაირა მარშანია, ქართული კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო გაერთიანება „ქართველი“-ს, ლიტერატურული სერია „ილიონი“-ს მიერ გამოცემული წიგნების რედაქტორი ეკა ავაზაშვილი, მხატვარი ვლადიმერ გელაშვილი, მსახიობი მაია ხვთისაურიშვილი. მაყვალა გონაშვილმა საზოგადოებას გააცნო მწერალთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილება, იოანე ქართველის მწერალთა კავშირის წევრად არჩევის შესახებ.

მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ ვლადიმერ გელაშვილის მიერ შესრულებული ილია ჭავჭავაძის პორტრეტები.

ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს წიგნების პრეზენტაცია მიულოცეს მხარდამჭერებმა: ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა, მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ხელმძღვანელმა ირაკლი მათიკაშვილმა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა მაია ზარდიაშვილმა.

25 აპრილიდან საყოველთაო იმუნიზაციის კვირეული იწყება

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მიმდინარე წლის 25 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით აღნიშნავს იმუნიზაციის კვირეულს. იმუნიზაცია ყოველწლიურად მილიონებით ბავშვს იცავს სიკვდილის, სიბრმავის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობის, და ჯანმრთელობის სხვა მძიმე დარღვევებისაგან.

სახელმწიფო აფინანსებს ათი დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას, რომლებიც იცავს ტუბერკულოზის, ჰეპატიტის, დიფტერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, წითელას, წითურას, ყბაყურას, როტა ვირუსული ინფექციის, პაპილომა ვირუსის, პნევმოკოკური ინფექციისაგან. თვითეული ვაქცინა სერთიფიცირებულია ჯანმრთელობის მსოფლო ორგანიზაციის მიერ და სრულიად უსაფრთხოა. ამასთანავე, რამდენიმე სხვადასხვა ვაქცინა ერთ ინექციაში კეთდება, რაც ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დასრულებას და ვაქცინაციის ეფექტურობას.

პროფილაქტიკური აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ.

ტუბერკულოზი ბაქტერიული ინფექციაა, რომელიც უპირატესად ფილტვებს აზიანებს. დიფტერიაც ბაქტერიული ინფექციური დაავადებაა, რომლის მიერ გამოყოფილი ტოქსინი ინვევს კუნთების დამბლას, გულის, თირკმელების და ნერვული სისტემის დაზიანებას. წითელა, წითურა და ყბაყურა ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებებია, რის გამოც ამ დაავადებებით დაინფიცირების რისკი მაღალია. წითელამ შეიძლება გამოინვიოს ფილტვების, ყურის და თავის ტვინის დაზიანება. წითურა იწვევს სმენის, მხედველობის ორგანოების, ცენტრალური ნერვული სისტემის და გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიებს. ის განსაკუთრებით საშიშია ორსულობის დროს, რადგანაც შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის თანდაყოლილი სიმახინჯეები. ყბაყურა იწვევს სმენის დაქვეითებას, ინფექცია შეიძლება უშვილობის მიზეზიც გახდეს.

ტეტანუსი მწვავე ინფექციური დაავადებაა ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით; ძირითადად მძიმედ მიმდინარეობს და ხშირია სიკვდილიანობის შემთხვევები.

ჰეპატიტი ღვიძლის ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომლის შემდგომი გართულებებია ქრონიკული ჰეპატიტი, ციროზი ან ღვიძლის პირველადი კიბო.

როტა ვირუსით გამოწვეულია დიარეული დაავადება, რომელიც მცირეწლოვან ბავშვებში მწვავე დიარეის (ეგრეთ წოდებული „კუჭის აშლის“) ყველაზე გავრცელებული მიზეზია. როტა ვირუსული ინფექცია გადაეცემა პირდაპირი (უშუალოდ ადამიანიდან ადამიანზე) ან არაპირდაპირი (დაბინძურებული საგნების საშუალების) გზით. მხოლოდ ჰიგიენის ნორმების დაცვა, ვაქცინაციის გარეშე, ამ დაავადებისგან არ იცავს. პაპილომავირუსზე აცრა (9-10 წლის გოგონებში) იცავს საშვილოსნოს ყელის კიბოსგან.

აცრის შემდგომ შესაძლებელია დაავადების მსუბუქი კლინიკური ნიშნები გამოვლინდეს: ტემპერატურა 38,5°-მდე, აღგზნებადობა, აცრის ადგილის შეწითლება, შეშუპება, მტკივნეულობა, რაც ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და ჯანსაღ იმუნურ სისტემაზე მეტყველებს. აცრის შემდგომი სერიოზული გართულების ალბათობა მცირეა, რომლის დროსაც უნდა მიმართოთ ექიმს.

საყოველთაო იმუნიზაციით აღმოიფხვრა ისეთი დაავადებები, როგორიცაა ყვავილი; პოლიომიელიტის შემთხვევები.

Covid-19 პანდემიის პირობებში გადამწყვეტი მნიშნელობა ენიჭება მოსახლეობის მასობრივ ვაქცინაციას. ეჭვს აღარ იწვევს, რომ სრულად ვაქცინირებულებში დაავადება შედარებით მსუბუქი ფორმით მიმდინარეობს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე და დრულად ჩაატაროთ გეგმიური და კოვიდ ვაქცინაციები.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი იმუნოლოგი ქეთევან სეფაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი

მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი

კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2

საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86